

უპირატესობა შედეგია ცოდნისა!



ნ ე ღ ნ ი ს ა

ა უ ღ ი ტ უ რ ი კ ო ნ ც ე რ ე ნ ი

შპს „ახალი ნათება“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

თბილისი

2025

სარჩევი

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა	3
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	4
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	9
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	10
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	11
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	12
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	13
1. ძირითადი ინფორმაცია	13
2. საქართველოს ბიზნეს-გარემო	13
3. მომზადების საფუძველი	13
4. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა	15
5. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	24
6. მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	24
7. გადახდილი ავანსები	24
8. მარაგები	24
9. გადასახადები	25
10. ძირითადი საშუალებები	26
11. სხვა გრძელვადიანი აქტივები	30
12. ვალდებულებები, წარმოქმნილი მიწოდებიდან და მომსახურებიდან	31
13. მიღებული ავანსები	31
14. მიღებული გრძელვადიანი სესხები და მათი მიმდინარე ნაწილი	31
15. სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	32
16. ამონაგები	33
17. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	33
18. მიწოდების ხარჯები	34
19. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	34
20. სხვა საოპერაციო ხარჯები	35
21. ფინანსური ხარჯები	35
22. მოგება (ზარალი) სავალუტო საკურსო სხვაობებიდან	35
23. სხვა არასაოპერაციო მოგება / (ზარალი)	36
24. საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი ფულადი ნაკადების შეჯერება ვალდებულებების მოძრაობასთან – სესხები	36
25. საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი ფულადი ნაკადების შეჯერება ვალდებულებების მოძრაობასთან – პროცენტები	37
26. საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი ფულადი ნაკადების შეჯერება ვალდებულებების მოძრაობასთან – დივიდენდები	37
27. შესადარისი პერიოდის ცვლილებები	37
28. კაპიტალის მართვა	38
29. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება	38
30. რისკების მართვა	39
31. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან	43
32. გაუთვალისწინებელი გარემოებები	44
33. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	45
34. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	45

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს საწარმოს ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობას და კაპიტალის ცვლილებას 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, ასევე სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვასა და განმარტებით შენიშვნებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- განსჯასთან და შეფასებებთან დაკავშირებულ მართებული და გონივრული გადაწყვეტილებების მიღებაზე;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას მოქმედი საწარმოს პრინციპის საფუძველზე, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც გარემოებები ამას შეუძლებელს ხდის.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ეფექტიანი და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი საბუღალტრო ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ასევე ფინანსური ანგარიშგების ფასს-ის მოთხოვნებთან შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობის, შეცდომებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის დადასტურებულია ხელმძღვანელობის მიერ და ხელმოწერილია მისი სახელით 2025 წლის 30 სექტემბერს:

გენერალური დირექტორი ----- თემურ არდოტელი

ფინანსური მენეჯერი ----- თეა გიგიაშვილი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ახალი ნათების“ პარტნიორსა და მენეჯმენტს

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ახალი ნათების“ (საიდენტიფიკაციო ნომერი – 202066156) (შემდგომში – „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის – „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ – ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან „ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო საბჭოს“ „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ (IESBA-კოდექსი) და საქართველოში მოქმედი ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებული ეთიკის ნორმების შესაბამისად და ჩვენ აგრეთვე შევასრულეთ IESBA-კოდექსის და ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებები. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია, რომელიც არ არის ფინანსური ანგარიშგება და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნა

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის თანახმად:

შპს „ახალი ნათება“

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

გვერდი 2

„1. სდპ-მა და პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოებმა უნდა მოამზადონ და სამსახურს უნდა წარუდგინონ მმართველობის ანგარიშგება...“

2. მმართველობის ანგარიშგება მოიცავს:

ა) საქმიანობის მიმოხილვას; ბ) კორპორაციული მართვის ანგარიშგებას; გ) არაფინანსურ ანგარიშგებას.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობის მიმოხილვას ამზადებენ სდპ და პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოები...

10. სდპ და პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოები ვალდებული არიან, მმართველობის ანგარიშგება მიაწოდონ აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას. აუდიტორი/აუდიტორული ფირმა გამოთქვამს თავის მოსაზრებას ამ მუხლის მე-6 პუნქტისა და მე-7 პუნქტის „გ“ და „ზ“ ქვეპუნქტების მის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობისა და იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებთან თანხვედნილობის თაობაზე. აუდიტის განხორციელების პროცესში სუბიექტის შესახებ მიღებული ინფორმაციის გათვალისწინებით აუდიტორი/აუდიტორული ფირმა განსაზღვრავს არსებით უზუსტობებს და საჭიროების შემთხვევაში მიუთითებს მათ არსს“.

კომპანია წარმოადგენს კანონით განსაზღვრულ მეორე ზომითი კატეგორიის საწარმოს. აღნიშნული მოთხოვნების შესაბამისად, კომპანიამ ფინანსურ ანგარიშგებასთან თანადროულად წარმოადგინა მმართველობის ანგარიშგება, საქმიანობის მიმოხილვის სახით. საქმიანობის მიმოხილვაში ასახულ ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. საქმიანობის მიმოხილვა მოიცავს ინფორმაციას კომპანიის საქმიანობის, ძირითადი მაჩვენებლების, რისკებისა და სამომავლო გეგმების შესახებ, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე. ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობის შესახებ

კომპანიის 2024 წლის მმართველობის ანგარიშგება (საქმიანობის მიმოხილვა) თანხვედნილია ამავე საანგარიშგებო წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენი აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის – ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით განსაზღვრული ნაწილის (საქმიანობის მიმოხილვის) ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

შპს „ახალი ნათება“

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

გვერდი 5

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილი – საქმიანობის მიმოხილვა შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით. ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

გარიგების პარტნიორი აუდიტისა, რომლის შედეგად გაიცა აღნიშნული დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა:

გიორგი ცერცვაძე

შპს აუდიტური კონცერნი „ცოდნისა“

საქართველო, თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი 41.

30 სექტემბერი, 2025 წელი

შპს „ახალი ნათება“

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	31.12.2024	31.12.2023	შენიშვნა
მიმდინარე აქტივები:			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	585 360	640 126	5
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	740 250	758 981	6
გადახდილი ავანსები	1 516 047	2 130 966	7
მარაგები	22 129 435	19 301 868	8
წინასწარ გადახდილი გადასახადები	36 777	399 001	9
სხვა მიმდინარე აქტივები	40 499	62 156	
მიმდინარე აქტივები სულ:	25 048 367	23 293 099	
გრძელვადიანი აქტივები :			
ძირითადი საშუალებები	12 704 507	12 235 795	10
არამატერიალური აქტივები	32 552	53 461	
სხვა გრძელვადიანი აქტივები	2 642 599	3 160 195	11
გრძელვადიანი აქტივები სულ:	15 379 658	15 449 450	
აქტივები სულ:	40 428 025	38 742 549	
მიმდინარე ვალდებულებები:			
მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	1 185 802	1 817 432	12
მიღებული ავანსები	784 391	702 067	13
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი	2 596 314	2 200 427	14
გადასახდელი გადასახადები	-	687 712	9
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	186 808	151 710	
მიმდინარე ვალდებულებები სულ:	4 753 315	5 559 348	
გრძელვადიანი ვალდებულებები:			
მიღებული გრძელვადიანი სესხები	4 419 669	2 949 519	14
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	2 596 876	3 211 271	15
გრძელვადიანი ვალდებულებები სულ:	7 016 545	6 160 790	
ვალდებულებები სულ:	11 769 860	11 720 138	
კაპიტალი			
კაპიტალი	2 000	2000	
გაუნაწილებელი მოგება	28 656 165	27 020 411	
კაპიტალი სულ:	28 658 165	27 022 411	
ვალდებულებები და კაპიტალი სულ:	40 428 025	38 742 549	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2025 წლის 30 სექტემბერს:

გენერალური დირექტორი ----- თემურ არდოტელი

ფინანსური მენეჯერი ----- თეა გიგიაშვილი

თანდართული შენიშვნები მე-13 დან 45-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „ახალი ნათება“

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	2024	2023	შენიშვნა
ამონაგები	36 580 600	38 255 392	16
თვითღირებულება	(19 812 630)	(21 687 212)	17
საერთო მოგება	16 767 970	16 568 180	
მიწოდების ხარჯები	(8 411 513)	(7 504 010)	18
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(2 235 488)	(2 502 870)	19
სხვა საოპერაციო ხარჯები	(727 302)	(642 214)	20
მოგება საოპერაციო საქმიანობიდან	5 393 667	5 919 086	
ფინანსური ხარჯები	(760 130)	(622 842)	21
მოგება / (ზარალი) საკუროს სხვაობებიდან	(359 634)	100 924	22
სხვა არასაოპერაციო მოგება / (ზარალი)	271 624	50 893	23
ზარალი არასაოპერაციო საქმიანობიდან	(848 140)	(471 025)	
მოგება დაბეგვრამდე:	4 545 527	5 448 061	
მოგების გადასახადის ხარჯი	(104 772)	(101 971)	
მოგება დაბეგვრის შემდეგ :	4 440 754	5 346 091	
სულ პერიოდის სხვა სრული შემოსავალი, გადასახადის გამოკლებით:			
სულ საანგარიშო პერიოდის სრული მოგება:	4 440 754	5 346 091	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2025 წლის 30 სექტემბერს:

გენერალური დირექტორი ----- თემურ არდოტელი

ფინანსური მენეჯერი ----- თეა გიგიაშვილი

თანდართული შენიშვნები მე-13 დან 45-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „ახალი ნათება“

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	განთავსებული კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება / (დაუფარავი ზარალი)	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 31.12.2022-თვის	2 000	24 404 321	24 406 321
საანგარიშგებო პერიოდის მოგება	-	5 346 091	5 346 091
განაწილებული დივიდენდები	-	(2 730 000)	(2 730 000)
ნაშთი 31.12.2023-თვის	2 000	27 020 411	27 022 411
საანგარიშგებო პერიოდის მოგება	-	4 440 754	4 440 754
განაწილებული დივიდენდები	-	(2 805 000)	(2 805 000)
ნაშთი 31.12.2024-თვის	2 000	28 656 166	28 658 166

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2025 წლის 30 სექტემბერს:

გენერალური დირექტორი ----- თემურ არდოტელი

ფინანსური მენეჯერი ----- თეა გიგიაშვილი

თანდართული შენიშვნები მე-13 დან 45-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „ახალი ნათება“

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	2024	2023	შენიშვნა
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:			
მყიდველებისა და დამკვეთებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	42 681 971	44 673 778	
სხვა შემოსულობანი საოპერაციო საქმიანობიდან	69	1 459	
მიმწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები	(26 377 009)	(26 781 597)	
გაცემული შრომის ანაზღაურება	(5 217 800)	(4 824 999)	
სამიწვინებო ხარჯების ანაზღაურება	(141 557)	(160 799)	
ანგარიშვალდებულ პირებზე გაცემული ავანსები	-	13 948	
განაცემები საქველმოქმედო მიზნით	(815)	(1 214)	
გადახდილი გადასახადები (მოგების გადასახადის გარდა)	(7 812 713)	(7 715 688)	
გადახდილი მოგების გადასახადი	(104 772)	(101 971)	
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები	(57 490)	(52 244)	
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი/(კლება) საოპერაციო საქმიანობიდან	2 969 883	5 050 673	
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:			
ძირითადი საშუალებებისა და სხვა გრძელვადიანი აქტივების შეძენა	(679 371)	(753 266)	
ძირითადი საშუალებების გასვლიდან შემოსულობანი	47 060	69 786	
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი/(კლება) საინვესტიციო საქმიანობიდან	(632 311)	(683 480)	
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან:			
სესხების აღება	18 719 191	23 603 398	24
სესხების დაფარვა	(17 109 624)	(23 912 187)	24
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა	(915 151)	(939 445)	
გადახდილი პროცენტები	(355 431)	(330 325)	25
გადახდილი დივიდენდები	(2 662 890)	(2 597 000)	26
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი/(კლება) საფინანსო საქმიანობიდან	(2 323 905)	(4 175 560)	
ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული ზრდა / (კლება) (ნეტო)	(68 434)	(49 163)	
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი/(კლება):	(54 766)	142 471	
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის დასაწყისისათვის:	640 126	497 656	
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის ბოლოსათვის:	585 360	640 126	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2025 წლის 30 სექტემბერს:

გენერალური დირექტორი ----- თემურ არდოტელი

ფინანსური მენეჯერი ----- თეა გიგიაშვილი

თანდართული შენიშვნები მე-13 დან 45-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

**ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის**

1. ძირითადი ინფორმაცია

შპს „ახალი ნათება“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია 1999 წლის 18 ოქტომბერს ქ. თბილისის დიდუბის სასამართლოს მიერ. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია – 202066156. იურიდიული მისამართი: ქ.თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ალ. ყაზბეგის გამზ., №25ა. კომპანიის პრეზიდენტი – ზურაბ გაბინაშვილი, გენერალური დირექტორი – თემური არდოტელი.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს გასანათებელი საშუალებების, ავეჯისა და აქსესუარების იმპორტი და რეალიზაცია, როგორც საბითუმო ისე საცალო ქსელში.

კომპანიას გააჩნია 16 მაღაზია-სალონი. ამათგან 10 მდებარეობს ქ. თბილისში, ხოლო 6 - საქართველოს სხვა რეგიონებში.

კომპანიის ერთადერთი პარტნიორი – 100%-იანი წილის მფლობელია ზურაბ გაბინაშვილი (პ/ნ 01019002369).

2. საქართველოს ბიზნეს-გარემო

კომპანია საქმიანობას ეწევა საქართველოში და მასზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები. საქართველოში მოქმედი საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობენ განვითარებას. განვითარებადი ქვეყნისთვის დამახასიათებელია ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები, რაც ხშირად წარმოშობს საკამათო საკითხებს სახელმწიფო ორგანოებსა და მოქმედ კომერციული კომპანიებს შორის.

3. მომზადების საფუძველი

ა) მომზადების ძირითადი საფუძველი

კომპანიის 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მეორე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის

შპს „ახალი ნათება“

განმარტებითი შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

თანახმად. აღნიშნული კანონის მოთხოვნებიდან გამომდინარე, კომპანიის წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი სავალდებულოა.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით – ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ კომპანიის საქმიანობა საქართველოში. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია კომპანიისათვის.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით.

ფინანსური ანგარიშგების სრულ „ფასს“-ებთან შესაბამისობით მომზადება მენეჯმენტისგან ითხოვს დაშვებების, შეფასებებისა და მოსაზრებების გამოთქმას, რომლებიც მოქმედებენ ფინანსური აღრიცხვის პოლიტიკების გამოყენებასა და აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლისა და ხარჯების, ასევე პირობითი აქტივებისა და ვალდებულებების ანგარიშგებულ თანხებზე. ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს ხსენებული შეფასებებისგან. შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს მომავალი ფინანსური წლის შედეგების არსებითი კორექტირებების რისკებს.

ბ) საანგარიშგებო პერიოდი

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე. 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლის ბოლოს მდგომარეობით მონაცემები იგივეა, რაც მომდევნო წლის 1 იანვრის მდგომარეობით მოყვანილი მონაცემები.

გ) წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის სამუშაო ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის

შპს „ახალი ნათება“

განმარტებითი შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

დ) გაცვლითი სავალუტო კურსები

უცხოურ ვალუტაში ასახული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლითი ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორისი სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

	31.12.2024	31.12.2023
ლარი / 1 USD	2.8068	2.6894
ლარი / 1 EUR	2.9306	2.9753
ლარი / 10 CNY	3.8452	3.7819

საშუალო სავალუტო გაცვლითი კურსი შეადგენდა:

	2024	2023
ლარი / 1 USD	2.7208	2.6279
ლარი / 1 EUR	2.9440	2.8416
ლარი / 10 CNY	3.7812	3.7124

4. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

ქვემოთ მოცემულია ის არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც მოხდა კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადება.

ა) მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან ამონაგების აღიარება

საქონლის გაყიდვა. გაყიდვა აღიარდება საქონელზე კონტროლის გადაცემისას, ანუ როდესაც საქონელი მიეწოდება მომხმარებელს, როცა მომხმარებელს სრული კონტროლი აქვს საქონელზე და არ არსებობს შეუსრულებელი მოვალეობა, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს მომხმარებლის მიერ საქონლის მიღებაზე. მიწოდება ხდება მაშინ, როდესაც საქონელი მიწოდებული იქნება კონკრეტულ ადგილზე, მოძველებისა და დაკარგვის რისკები მომხმარებელს გადაეცემა, მომხმარებელი მიიღებს საქონელს ხელშეკრულების შესაბამისად,

შპს „ახალი ნათება“

განმარტებითი შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ან მიღების ვადა ამოიწურება ან კომპანიას ობიექტური მტკიცებულება აქვს, რომ მიღებისთვის საჭირო ყველა კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია.

ფასდათმობით გაყიდვები აღიარდება ხელშეკრულებაში მითითებული ფასის საფუძველზე, შეფასებული ფასდათმობის გამოკლებით. ფასდათმობის შესაფასებლად დაგროვილ გამოცდილებას იყენებენ, მოსალოდნელი ღირებულების მეთოდის მეშვეობით და ამონაგები აღიარდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მაღალია ალბათობა, რომ მნიშვნელოვანი დაბრუნება არ მოხდება. თანხის დაბრუნების ვალდებულება (რაც სავაჭრო და სხვა ვალდებულებაში აისახება) აღიარდება მოსალოდნელი მასშტაბის ფასდათმობისთვის, რაც მომხმარებლისთვის გადასახდელია საანგარიშგებო პერიოდის დასრულებამდე განხორციელებულ გაყიდვებთან დაკავშირებით.

მიიჩნევა, რომ დაფინანსების ელემენტი არ არსებობს, თუ გაყიდვები მოკლე პერიოდიანი საკრედიტო პირობით ხორციელდება, რაც ბაზარზე არსებული პრაქტიკის თანმიმდევრულია. მოთხოვნა აღიარდება საქონლის მიწოდებისას, რადგან ეს არის დროის მომენტი, როდესაც ანაზღაურების მიღება უპირობოა, რადგან გადახდის განხორციელების ვადის დადგომამდე მხოლოდ დროის გასვლაა საჭირო.

ბ) ფინანსური შემოსავლები და ხარჯები

კომპანიის ფინანსური შემოსავლები და ხარჯები მოიცავს სესხებზე დარიცხული პროცენტის თანხებს, ასევე ფინანსურ აქტივებზე და ფინანსურ ვალდებულებებზე უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეულ შემოსავლებსა და ხარჯებს.

უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით მიღებული სარგებელი ან ზარალი წარმოდგენილია წმინდა ღირებულებით, როგორც ფინანსური შემოსავალი ან ფინანსური ხარჯი, იქიდან გამომდინარე, უცხოური ვალუტის მოძრაობით მიღებული შედეგი წმინდა შემოსავალია თუ წმინდა ხარჯი.

კომპანიის სხვა შემოსავალს წარმოადგენს ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული მოგება, კრედიტორებისგან მიღებული კრედიტ-ნოტები და საპროცენტო შემოსავალი კომერციულ ბანკებში განთავსებული დეპოზიტებიდან, გაცემული სესხებიდან, ფასიანი ქაღალდებიდან და სხვა შემოსავალი. კომპანია საპროცენტო შემოსავალს აღიარებს იმ პერიოდის შესაბამისად, რა პერიოდშიც ხდება შემოსავლის მიღება და ასახავს მას მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

გ) გარიგებები უცხოურ ვალუტაში

შპს „ახალი ნათება“

განმარტებითი შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია პირვანდელი ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული საკურსო სხვაობა აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დ) დასაქმებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები აღიარდება გაწეული მომსახურების საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით, თუ კომპანიას გააჩნია ამ თანხის სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსულში დასაქმებულ პირთაგან მიღებული მომსახურების საფუძველზე და ეს ვალდებულებები შეიძლება შეფასდეს საიმედოდ.

ე) გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა სადაზღვევო კომპანიებისა, რომელთათვისაც ეს დებულება ამოქმედდა 2024 წლის 1 იანვრიდან, და ზოგიერთი სხვა გამონაკლისისა (ფინანსური დაწესებულებები: ბანკები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები; აგრეთვე, სათამაშო აპარატების სალონის მოწყობის ან/და სისტემურ-ელექტრონული ფორმით აზარტული თამაშობების ორგანიზატორი პირებისა).

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის, შესაბამისად, 2017 წლიდან მათ

შპს „ახალი ნათება“

განმარტებითი შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა).

2017-2024 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენს, გარდა იმ პირებისა, რომლებიც არ იბეგრებიან მოგების გადასახადით „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ვ) მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ღირებულება შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან და სხვა დანახარჯებს, რომელიც მოიცავს მისი მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად. მარაგების ჩამოწერა ხდება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდის გამოყენებით.

ზ) ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

კომპანია ძირითად საშუალებებს აღრიცხავს მათი თვითღირებულებით (პირვანდელი ღირებულება) გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი.

კომპანია არამატერიალურ აქტივებს აღრიცხავს მათი თვითღირებულებით (პირვანდელი ღირებულება) გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი.

ძირითადი საშუალებების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ დღიდან, როდესაც ხდება მისი ექსპლუატაციაში გაშვება ან ის მზადაა დანიშნულებისამებრ ექსპლუატაციაში გაშვებისთვის. ძირითადი საშუალებების ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით.

კომპანია აღრიცხავს ძირითადი საშუალებების ცვეთას წრფივი მეთოდით, მათი სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობის მიხედვით:

შენობა-ნაგებობები

- 50 წელი;

მანქანა-დანადგარები

- 20 წელი;

შპს „ახალი ნათება“

განმარტებითი შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

მსუბუქი ავტომობილები, სხვა ავტოტრანსპორტი	- 12,5 წელი;
კომპიუტერული ტექნიკა, ელექტრონული მოწყობილობები	- 5 წელი;
ავეჯი და ინვენტარი	- 5 წელი;
საოფისე აღჭურვილობა	- 5 წელი;
ელექტროძრავები და დიზელ-გენერატორები, ელექტროგადამცემის მოწყობილობები და სხვა მოწყობილობები	- 12,5 წელი;
გათბობა-გაგრილების სისტემა	- 10 წელი;
კავშირგაბმულობის საშუალებები	- 4 წელი;
სხვა მოწყობილობები	- 2,5 წელი.

შეკეთებასთან ან განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები ირიცხება წარმოშობისთანავე და მათი ჩართვა ხდება პერიოდის საოპერაციო ხარჯებში, თუ არ არსებობს მათი კაპიტალიზაციის საფუძველი.

არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 10-20%; არამატერიალური აქტივი განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

თ) ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით, რომელიც კორექტირდება გარიგების დანახარჯებით.

ფინანსური ინსტრუმენტების შემდგომი შეფასებისთვის/აღრიცხვისთვის კომპანია იყენებს ამორტიზებულ ღირებულებას.

კომპანიის მიზანია ფინანსური აქტივებიდან მხოლოდ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება.

კომპანია ფლობს ორი ტიპის ფინანსურ აქტივს, რომელთათვისაც გამოიყენება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელი - სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები (გარდა ნაღდი ფულისა). კომპანია იყენებს ფასს 9-ის გამარტივებულ მეთოდს, რათა გაზომოს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც თავის მხრივ იყენებს სრული ვადის განმავლობაში მოსალოდნელ ზარალის ანარიცხს ყველა სავაჭრო მოთხოვნისთვის. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განსაზღვრისთვის, სავაჭრო მოთხოვნები დაჯგუფებულია საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლებითა და ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით.

შპს „ახალი ნათება“

განმარტებითი შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ფინანსური ვალდებულებების აღიარება შეწყდება, როდესაც ისინი დაიფარება (ანუ როდესაც ხელშეკრულებაში მითითებული ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ვადა ამოეწურება).

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურება

დებიტორული სავაჭრო დავალიანების გაუფასურება ხდება, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულებები, რომ კომპანია ვერ შეძლებს შესაბამისი მისაღები მოთხოვნების მიხედვით კუთვნილი თანხის სრულად ან ნაწილობრივ მიღებას.

ისეთი ოპერაციების შედეგად წარმოქმნილ სავაჭრო მოთხოვნებთან ან ან სახელშეკრულებო აქტივებთან დაკავშირებით, რომლებიც ფასს 15-ის მოქმედების სფეროს განეკუთვნება და ამასთან, ფასს 15-ის შესაბამისად არ შეიცავს მნიშვნელოვან დაფინანსების კომპონენტს (ან როდესაც კომპანია იყენებს პრაქტიკული ხასიათის გამარტივებულ მიდგომას ხელშეკრულებებისთვის, რომელთა ხანგრძლივობა ერთი წელი, ან ერთ წელზე ნაკლებია), გაუფასურების ზარალის რეზერვი ყოველთვის ფასდება თანხით, რომელიც არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ტოლია. 1 წლით ან მეტი ვადით გადაუხდელობა სავაჭრო მოთხოვნებზე გაუფასურებული ზარალი აღიარდება 100%-ის ოდენობით, ხოლო სხვა სავაჭრო მოთხოვნებზე -5%-დან 50%-მდე, თანხის გადაუხდელობის ხანგრძლივობიდან გამომდინარე.

ვადაგადაცილების დღეები	0-90	91-180	181-270	271-365	>365
რეზერვის პროცენტული მაჩვენებელი	5%	10%	25%	50%	100%

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვში ცვლილებების ოდენობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშებზე.

გაუფასურებული მოთხოვნის ჩამოწერა აისახება არსებული გაუფასურების ზარალის რეზერვის ანგარიშზე.

ი) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

კ) მოთხოვნები საქმიანობიდან და სხვა მიმდინარე მოთხოვნები

მოთხოვნები წარმოადგენენ ყველა მიმდინარე მოთხოვნებს მომსახურებიდან და მიწოდებიდან, წინასწარ გადახდილი გადასახადების და წინასწარ გაწეული ხარჯების გარდა.

სავაჭრო და სხვა დებიტორული მოთხოვნების აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით, გამოკლებული გაუფასურების ზარალი. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ზარალი

შპს „ახალი ნათება“

განმარტებითი შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ჩამოყალიბებულია, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულებები, რომ კომპანია ვერ შეძლებს ყველა თანხის შეგროვებას მისაღები მოთხოვნების მიხედვით.

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში რეზერვში ცვლილებების ოდენობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშებზე. ნებისმიერი მოთხოვნის ჩამოწერის ასახვა ხდება არსებული საექვო მოთხოვნების რეზერვის ანგარიშზე. ყველა სავაჭრო მოთხოვნა, პირდაპირ ჩამოიწერება და აღიარდება პერიოდის მოგება-ზარალში.

ლ) აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივი შეფასდება ყოველ ანგარიშგების დღეს იმ მიზნით, რომ განისაზღვროს არსებობს თუ არა მისი გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. ფინანსური აქტივი ჩაითვლება გაუფასურებულად იმ შემთხვევაში, თუ ობიექტური მტკიცებულებით ნაჩვენებია აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდგომ ზარალის შემთხვევა, რაც შესაძლებელია უარყოფითად აისახოს აღნიშნული აქტივის სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასებაში, რაც ფასდება საიმედოდ.

მ) ხარჯების აღიარება

კომპანია ეწევა ხარჯებს საქმის წარმოებაზე თავის საოპერაციო საქმიანობის პროცესში, ასევე აქვს სხვა ხარჯები, რაც არ უკავშირდება მის ძირითად საქმიანობას. ხარჯების აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა შემცირება მომავალი ეკონომიკური სარგებლისა, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯების აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, გაწეული ხარჯებისა და შემოსავლებს შორის უშუალო შეპირისპირების საფუძველზე, შემოსავლების კონკრეტული მუხლების მიხედვით. თუკი ეკონომიკური სარგებლის წარმოშობა მოსალოდნელია რამდენიმე საანგარიშო პერიოდის მანძილზე და კავშირი შემოსავალთან შეიძლება მოიძებნოს მთლიანად ან ნაწილობრივ, მაშინ მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ხარჯის აღიარება მოხდება რაციონალური გადანაწილების მეთოდით. ხარჯის აღიარება ხდება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში დაუყოვნებლივ, თუ ხარჯი აღარ ქმნის მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან როცა მომავალი ეკონომიკური სარგებელი არ შეესაბამება ან აღარ შეესაბამება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივად აღიარების მოთხოვნებს.

ნ) მიღებული სესხები

სესხები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, ოპერაციის ხარჯების განეტების საშუალებით. აღიარების შემდგომ ისინი წარდგენილია ამორტიზებული

შპს „ახალი ნათება“

განმარტებითი შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ღირებულებით. ნებისმიერი სხვაობა ფულად ნაკადებსა და დაფარვის ღირებულებას შორის აღიარდება სესხის მთელი პერიოდის განმავლობაში მოგება-ზარალის პერიოდში.

ო) იჯარა

2015 წლის იანვარში, ბასს-მა გამოუშვა ფასს 16 „იჯარა“, რომელიც ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. კომპანიამ აღნიშნული სტანდარტის გამოყენება დაიწყო 2019 წლის 1 იანვრიდან მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომით. ფასს 16-ის მოთხოვნის შესაბამისად მოიჯარე აღიარებს აქტივის „გამოყენების უფლებას“ და შესაბამის ფინანსურ ვალდებულებას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. აქტივის ამორტიზება მოხდება იჯარის ვადის განმავლობაში და ფინანსური ვალდებულება შეფასდება ამორტიზებული ღირებულებით. მოიჯარე ყველა აღიარებული იჯარისთვის იყენებს ერთიან მოდელს, თუმცა უფლება აქვთ არ აღიარონ „მოკლევადიანი“ იჯარები და იჯარები „დაბალი ღირებულების მქონე“ აქტივებით. მეიჯარის აღრიცხვა არსებითად იგივე რჩება, რასაც ბასს 17 ითვალისწინებდა.

ო) ახალი და გადასინჯული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება

• *შესწორებები ბასს 21-ში, ვალუტის გაცვლის შესაძლებლობის ნაკლებობა (გამოცემულია 2023 წლის 15 აგვისტოს და ძალაშია 2025 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის);*

• *ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს, ან ერთობლივ საწარმოს შორის აქტივების გაყიდვა, ან შეტანა - ცვლილებები ფასს 10-ში და ბასს 28-ში (გამოცემულია 2014 წლის 11 სექტემბერს და ძალაში შესვლის თარიღი არ არის ცნობილი).*

ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომელთა მიღება სავალდებულოა 2027 წლის 1 იანვარს ან შემდგომ პერიოდებში და რომლებიც კომპანიას ნაადრევად არ გამოუყენებია, არის შემდეგი:

ფასს 18: ფინანსური ანგარიშგებების წარდგენა და ინფორმაციის გამჟღავნება - მოთხოვნები:

- ახალი სავალდებულო ქვეჯამები მოგება-ზარალის ანგარიშგებაში „საოპერაციო მოგების“ ჩათვლით
- განმარტებითი შენიშვნები ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული საქმიანობის ინდიკატორების შესახებ
- გაფართოებული მითითებები ინფორმაციის დაჯგუფების შესახებ (აგრეგირებული და დეზაგრეგირებული)

შპს „ახალი ნათება“

განმარტებითი შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ძალაში შესვლის თარიღი: წლიური ანგარიშგების პერიოდები იწყება 2027 წლის 1-ლ იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ, ადრეული გამოყენების დაშვებით.

ფასს 19: შვილობილი საწარმოები საჯარო ანგარიშგაღებულების გარეშე: განმარტებითი შენიშვნები - როგორ გამოვიყენოთ ფასს 19:

- ფასს 19 არის მხოლოდ გამჟღავნებასთან დაკავშირებული სტანდარტი. ის არ მოიცავს:
- აღიარების, შეფასების და წარდგენის მოთხოვნებს;
- მითითებებს გამჟღავნების მოთხოვნების გამოყენებასთან დაკავშირებით;
- აღიარების, შეფასების და წარდგენის მოთხოვნებთან დაკავშირებით შვილობილი საწარმო იხელმძღვანელებს ფასს აღრიცხვის შესაბამისი სტანდარტით.

ძალაში შესვლის თარიღი: წლიური ანგარიშგების პერიოდები იწყება 2027 წლის 1-ლ იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ, ადრეული გამოყენების დაშვებით.

მოსალოდნელი არ არის, რომ ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს ჩვენი კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

5. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	31.12.2024	31.12.2023
ფული სალაროში	71 920	31 909
ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე	513 440	608 217
	585 360	640 126

კომპანიას ანგარიშები გახსნილი აქვს საქართველოს 6 კომერციულ ბანკში – სს „პროგრესიტი ბანკი“, სს „თიბისი ბანკი“, სს „საქართველოს ბანკი“, სს „ვითიბი ბანკი“, სს „ტერაბანკი“, სს „კრედიტ ბანკი“.

6. მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან

	31.12.2024	31.12.2023
ადგილობრივი დამკვეთები	830 168	864 964
არარეზიდენტი დამკვეთები	-	32 497
საექვო მოთხოვნების ანარიცხები	(89 918)	(138 479)
	740 250	758 981

კომპანიის ძირითად მომხმარებლებს შეადგენენ ფიზიკური პირები. კომპანია ახორციელებს საქონლის იმპორტს და მათ შემდგომ რეალიზაციას საქართველოს სხვადასხვა რეგიონში არსებული მაღაზიების საშუალებით.

7. გადახდილი ავანსები

	31.12.2024	31.12.2023
ავანსები ადგილობრივ მომწოდებლებზე	117 746	120 062
ავანსები არარეზიდენტ მომწოდებლებზე	1 398 300	2 010 904
	1 516 047	2 130 966

8. მარაგები

	31.12.2024	31.12.2023	
გასაყიდად გამიზნული საქონელი	22 023 708	19 187 046	8.1
საქონელი მარკეტინგული მიზნებისთვის	59 068	67 085	
საწვავის მარაგი	21 466	18 971	
სხვა მარაგები	25 192	28 766	
	22 129 435	19 301 868	

შპს „ახალი ნათება“

განმარტებითი შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

8.1. გასაყიდად გამიზნული საქონელი:

	31.12.2024	31.12.2023
განათების საშუალებები	17 427 642	15 093 195
ავეჯი	4 372 586	3 946 880
აქსესუარები	223 481	180 348
	22 023 708	19 220 423

მარაგების გაუფასურების შეჯერება:

ანარიცხი 31.12.2022	41 075
2023 შემცირება	-
2023 გაზრდა	33 377
ანარიცხი 31.12.2023	74 452
2024 შემცირება	(3 543)
2024 გაზრდა	-
ანარიცხი 31.12.2024	70 909

მარაგების ჩამოწერა ხორციელდება ძირითადად რეალიზაციის შედეგად, თვითღირებულებით, რომელიც გამოითვლება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდის მიხედვით.

იმ მარაგის თვითღირებულება, რომელიც 2024 წლის საანგარიშგებო პერიოდის პირდაპირ იქნა აღიარებული მიწოდების, საერთო-ადმინისტრაციულ ან არასაოპერაციო ხარჯად, შეადგენს 289,459 ლარს.

9. გადასახადები

კომპანია ძირითადად ხუთი ტიპის გადასახადის გადამხდელია: საშემოსავლო გადასახადი, დამატებული ღირებულების გადასახადი, ქონების გადასახადი, მოგების გადასახადი და იმპორტის (საბაჟო) გადასახადი.

	31.12.2024	31.12.2023
საანგარიშგებო თარიღის შემდგომ დადგენილებული ან დასადგენი გადასახადები	(325 542)	687 185
ჩასათვლელი აქტივები	116 650	(102 248)
გადასახადის ნაშთი ერთიან საგადასახადო ბარათზე	245 670	(296 226)
	36 777	288 711

10. ძირითადი საშუალებები

	მიწის ნაკვეთები	დაუმთავრებ ელი მშენებლობა	შენობები	ელექტროგა დაცემის მოწყობილო ბენები	გათბობა- გაგრილების სისტემა	ავეჯი და ინვენტარი	კომპიუტერ ული ტექნიკა	ელექტრონუ ლი და სხვა მოწყობილობ ები	მსუბუქი ავტომობილ ები	სხვა ავტოსატრანსპ ორტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყო ბა	სხვა ამორტიზებად ი ძირითადი საშუალებები	სულ
პირვანდელი ღირებულება													
ნაშთი 2024 წლის 1 იანვრის	1 566 040	39 105	11 908 430	104 582	382 918	434 869	307 193	1 699 922	1 194 582	446 080	613 215	190 169	18 887 106
მდგომარეობით													
დამატება	-	1 390 766	15 995	2 589	-	76 208	39 097	128 383	527 121	114 701	51 924	232 167	2 578 951
(გასვლა)	-	(1 394 139)	-	-	-	(6 178)	(2 736)	(28 338)	(75 498)	(55 848)	(86 486)	(13 557)	(1 662 781)
სულ პირვანდელი ღირებულება													
2024 წლის 31 დეკემბრის	1 566 040	35 732	11 924 424	107 171	382 918	504 900	343 554	1 799 967	1 646 206	504 933	578 653	408 779	19 803 276
მდგომარეობით													
ცვეთა და გაუფასურება													
ნაშთი 2024 წლის 1 იანვრის	-	-	(2 755 208)	(90 643)	(296 101)	(343 275)	(216 462)	(1 592 015)	(432 071)	(257 789)	(564 316)	(103 432)	(6 651 311)
მდგომარეობით													
ცვეთის ხარჯი	-	-	(238 373)	(6 460)	(20 949)	(22 194)	(24 633)	(70 334)	(186 627)	(60 369)	(52 026)	(9 238)	(691 203)
ჩამოწერა	-	-	-	-	-	6 013	616	26 637	63 937	55 848	80 820	9 875	243 746
სულ აკუმულირებული ცვეთა													
ღირებულება 2024 წლის 31	-	-	(2 993 580)	(97 103)	(317 050)	(359 455)	(240 479)	(1 635 712)	(554 761)	(262 310)	(535 523)	(102 795)	(7 098 768)
დეკემბრის მდგომარეობით													
საბალანსო ღირებულება 2024													
წლის 31 დეკემბრის	1 566 040	35 732	8 930 844	10 068	65 868	145 445	103 075	164 255	1 091 445	242 623	43 130	305 983	12 704 508
მდგომარეობით													

განმარტებითი შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

27

შპს „ახალი ნათება“

განმარტებითი შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

კომპანიამ 2020 წელს ქ. ბათუმში შეიძინა უძრავი ქონება 961 კვ.მ. მიწის ნაკვეთი შენობა-ნაგებობით, სადაც 2021 წლის აპრილში გაიხსნა ახალი ფილიალი 1245 კვ.მ. ფართში.

კომპანიის კუთვნილი უძრავი ქონების ნაწილზე წარმოშობილი აქვს იპოთეკის უფლება სს „პროკრედიტბანკს“ და სს „ბაზისბანკს“, აღნიშნული ბანკებიდან მიღებული გრაფიკული სესხებისა და საკრედიტო ხაზების ხელშეკრულების საფუძველზე. სასესხო ვალდებულებების უზრუნველსაყოფად დაგირავებულია შემდეგი ძირითადი საშუალებები, კერძოდ:

სს „ბაზისბანკი“-ს მიერ:

1. მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N 01.19.19.003.192, მისამართი - ქ.თბილისი, II სამგორის დასახლება II ქუჩა N55; ქ.თბილისი, II სამგორის დასახლება II ქუჩა N55-ის მიმდ.; ქ.თბილისი, II სამგორის დასახლება II ქუჩა N53-ის მიმდ.; საკუთრება - არასასოფლო-სამეურნეო, დაზუსტებული ფართობი: 961 კვ.მ., იპოთეკის ხელშეკრულება N02.09/0109-20, 02/09/2020, აღნიშნული ქონების საბალანსო ღირებულებაა 435,419 ლარი.
2. მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N 05.28.05.008.01.566, მისამართი - ქ.ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. N21, თანასაკუთრება - არასასოფლო-სამეურნეო, დაზუსტებული ფართობი: 1701 კვ.მ., შენობა-ნაგებობების საერთო ფართი - 8160.90კვ.მ., არასაცხოვრებელი ფართი #76კვ.მ., იპოთეკის ხელშეკრულება N02.09/0109-20, 02/09/2020, აღნიშნული ქონების საბალანსო ღირებულებაა 139,831 ლარი.
3. მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N 05.28.05.008.01.564, მისამართი - ქ.ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. N21, თანასაკუთრება - არასასოფლო-სამეურნეო, დაზუსტებული ფართობი: 1701 კვ.მ., შენობა-ნაგებობების საერთო ფართი - 8160.90კვ.მ., არასაცხოვრებელი ფართი #68კვ.მ., იპოთეკის ხელშეკრულება N02.09/0109-20, 02/09/2020, აღნიშნული ქონების საბალანსო ღირებულებაა 91,058 ლარი.

სს „პროკრედიტ ბანკი“-ს მიერ:

1. მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N 01.72.14.011.491, მისამართი - ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N199, საკუთრება - არასასოფლო-სამეურნეო, დაზუსტებული ფართობი: 7262 კვ.მ.
მესაკუთრე: ნინო ბურდული - 2323 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული ნაგებობები N1, N2, N3. კომპანიას აქვს აღნაგობის უფლება აღნიშნულ ქონებაზე.
იპოთეკის საგანი:
 - მიწის დაზუსტებული ფართობი 823 კვ.მ. იპოთეკის ხელშეკრულება N58108-02223, 16/03/2011; მიწის დაზუსტებული ფართობი 1500 კვ.მ. და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები; იპოთეკის ხელშეკრულება N58108-021, N58108-02224, 16/03/2011;
 - მესაკუთრის საკუთრებაში არსებული აღნაგობის უფლება, აღნაგობის უფლების იპოთეკის ხელშეკრულება NFW13.10, NFW13.9, 21/06/2011; მოაღწაგე - შპს ახალი ნათება, მესაკუთრე - ნინო ბურდული; აღნიშნული ქონების საბალანსო ღირებულებაა 299,985 ლარი.
მესაკუთრე: შპს ახალი ნათება - 4939 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული ნაგებობა N4 საერთო ფართით 3160.60 კვ.მ. (მათ შორის საოფისე ფართი 1158.40 კვ.მ.,

დამხმარე ფართი 1067.10 კვ.მ., სარდაფის ფართი 915.0 კვ.მ., საზაფხულო ფართი 20.10 კვ.მ.), N7 საერთო ფართით 4082.40 კვ.მ. (მათ შორის: საოფისე 57.7 კვ.მ., კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართი 57.7 კვ.მ., სასაწყობე 3967 კვ.მ.) და შენობა-ნაგებობა N5 და N6.

იპოთეკის საგანი - 27 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და შენობა-ნაგებობა. იპოთეკის ხელშეკრულება N58108-02223, 16/03/2011; იპოთეკის ხელშეკრულება N58108-0222, 16/03/2011; აღნიშნული ქონების საბალანსო ღირებულებაა 2,721 ლარი;

2. მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N 05.23.04.051.01.5027, მისამართი - ქ.ბათუმი, შერიფ ხიმშიაშვილის ქ. N1, თანასაკუთრება - არასასოფლო-სამეურნეო, დაზუსტებული ფართობი: 8310 კვ.მ., შენობა-ნაგებობები N1, N2, N3 საერთო ფართით 55033.60კვმ. საკუთრება: კომერციული ფართი N7, სართული 1,ბლოკი „ბ“, 22-42 და ა-პ ღერძები, ფართი 337 კვ.მ. იპოთეკის ხელშეკრულება N 37593-02223, 03/09/2020; აღნიშნული ქონების საბალანსო ღირებულებაა 1,204,604 ლარი;

3. მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N 05.24.08.139.01.05.005, N 05.24.08.139.01.05.001ა, N 05.24.08.139.01.05.001. მისამართი - ქ.ბათუმი, ჟიული შარტავას გამზირი N7, თანასაკუთრება - არასასოფლო-სამეურნეო, დაზუსტებული ფართობი: 3047 კვ.მ., შენობა N1 (მშენებარე) საერთო სასარგებლო-სარეალიზაციო ფართით 37652.90კვმ.

- საკუთრება: კომერციული ფართი N5(მშენებარე), სართული 1, ფართი 102 კვ.მ. იპოთეკის ხელშეკრულება N 37593-0222225, 26/10/2020, N37593-022222228, 02/11/2020; საკადასტრო კოდი N 05.24.08.139.01.05.005;

- საკუთრება: კომერციული ფართი N1ა(მშენებარე), სართული 1, ფართი 361 კვ.მ. იპოთეკის ხელშეკრულება N 37593-0222225, 26/10/2020, N37593-022222227, 02/11/2020; საკადასტრო კოდი N 05.24.08.139.01.05.001ა;

- საკუთრება: კომერციული ფართი N1ა(მშენებარე), სართული 1, ფართი 500 კვ.მ. იპოთეკის ხელშეკრულება N 37593-0222225, 26/10/2020; საკადასტრო კოდი N 05.24.08.139.01.05.001;

აღნიშნული ქონების საბალანსო ღირებულებაა 4,299,599 ლარი;

კომპანიას სამ უძრავ ქონებაზე ვრცელდება გარკვეული ვალდებულებები აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსგან, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისგან ნასყიდობის ხელშეკრულების დროს გაფორმებული შეთანხმების აქტით 21/10/2010.

მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N 05.24.08.139.01.05.005, N 05.24.08.139.01.05.001ა, N 05.24.08.139.01.05.001. მისამართი - ქ.ბათუმი, ჟიული შარტავას გამზირი N7, თანასაკუთრება - არასასოფლო-სამეურნეო, დაზუსტებული ფართობი: 3047 კვ.მ., შენობა N1 (მშენებარე) საერთო სასარგებლო-სარეალიზაციო ფართით 37652.90კვმ.

1. საკუთრება: კომერციული ფართი N5(მშენებარე), სართული 1, ფართი 102 კვ.მ. იპოთეკის ხელშეკრულება N 37593-0222225, 26/10/2020, N37593-022222228, 02/11/2020; საკადასტრო კოდი N 05.24.08.139.01.05.005;
2. საკუთრება: კომერციული ფართი N1ა(მშენებარე), სართული 1, ფართი 361 კვ.მ. იპოთეკის ხელშეკრულება N 37593-0222225, 26/10/2020, N37593-022222227, 02/11/2020; საკადასტრო კოდი N 05.24.08.139.01.05.001ა;

შპს „ახალი ნათება“

განმარტებითი შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

3. საკუთრება: კომერციული ფართი N1ა(მშენებარე), სართული 1, ფართი 500 კვ.მ. იპოთეკის ხელშეკრულება N 37593-0222225, 26/10/2020; საკადასტრო კოდი N 0.24.08.139.01.05.001;

კერძოდ, შეთანხმების ძირითადი პირობები შემდეგია:

- მესაკუთრე (შპს ახალი ნათება) იღებს ვალდებულებას აღნიშნულ ქონებაზე უზრუნველყოს კომერციული ობიექტის ამოქმედება და ამოქმედებიდან 10 წლის ვადით პროფილის შენარჩუნება;
- აღნიშნული ვალდებულების შესრულების დასადასტურებლად სამინისტროს წარუდგინოს შესაბამისი აუდიტორული დასკვნები;
- თუ მესაკუთრე აღნიშნული აქტით გათვალისწინებულ ვადაში არ შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, სამინისტროს პირგასამტეხლოს სახით უხდის ყოველ დარღვევაზე (ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადო შესრულების შემთხვევაში) ქონების ღირებულების (1,670,805 აშშ დოლარი) 0.05% ოდენობით დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;
- ნაკისრი ვალდებულებების შესრულების დადასტურებამდე მესაკუთრეს უფლება არ აქვს სამინისტროსთან შეთანხმების გარეშე განკარგოს, გასცეს სარგებლობაში, დაყოს ცალკეულ საკადასტრო ერთეულებად ან სხვაგვარად დატვირთოს აღნიშნული ქონება;
- მესაკუთრეს უფლება აქვს გაასხვისოს ქონება იმავე პირობებით, რაც გათვალისწინებულია აღნიშნული შეთანხმების აქტით;

კომპანია აღნიშნულ ვალდებულებებს ასრულებს ყოველწლიურად, 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეთანხმების აქტის პირობები დარღვეული არ არის.

11. სხვა გრძელვადიანი აქტივები

კომპანიის სხვა გრძელვადიანი აქტივები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მოიცავს ძირითადად გამოყენების უფლების მქონე აქტივის ღირებულებას და სხვა აქტივებს. გამოყენების უფლების მქონე აქტივი წარმოადგენს საიჯარო ფართებს, რომელიც გამოყენებულია სამალაზიე და სასაწყობე მიზნებისათვის. კომპანია მოკლევადიან, ცვლად და დაბალი ღირებულების მქონე იჯარებს აღრიცხავს მიმდინარე პერიოდის ხარჯებად.

	შენიშვნები
აქტივების გამოყენების უფლება 01.01.2024	3 160 195
აქტივების გამოყენების უფლების ცვეთის ხარჯი	(597 226)
	<i>მათ შორის:</i>
ხარჯები აღიარებული მიმდინარე პერიოდის ხარჯად	(597 226)
აქტივების გამოყენების უფლების მატება	322 240
აქტივების გამოყენების უფლების კლება	(238 649)
აქტივების გამოყენების უფლება 31.12.2024	2 646 559

შპს „ახალი ნათება“

განმარტებითი შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	შენიშვნები
აქტივების გამოყენების უფლება 01.01.2023	1 936 405
აქტივების გამოყენების უფლების ცვეთის ხარჯი	(508 552)
მათ შორის:	
ხარჯები აღიარებული მიმდინარე პერიოდის ხარჯად	(508 552)
აქტივების გამოყენების უფლების მატება	1 732 341
აქტივების გამოყენების უფლება 31.12.2023	3 160 195

12. ვალდებულებები, წარმოქმნილი მიწოდებიდან და მომსახურებიდან

კომპანიის მიმდინარე სავაჭრო ვალდებულებების სტრუქტურა შემდეგია:

	31.12.2024	31.12.2023
რეზიდენტი მომწოდებლები	179 114	659 340
არარეზიდენტი მომწოდებლები	281 261	700 553
საიჯარო ვალდებულებები	725 427	457 539
	1 185 802	1 817 432

13. მიღებული ავანსები

კომპანიას მიღებული აქვს ავანსები ადგილობრივი დამკვეთებისგან.

14. მიღებული გრძელვადიანი სესხები და მათი მიმდინარე ნაწილი

კომპანიას სს „პროკრედიტ ბანკი“-სგან და სს „ბაზისბანკი“-სგან მიღებული აქვს გრძელვადიანი სესხები – გრაფიკული სესხები და საკრედიტო ხაზები ევროში და აშშ დოლარში.

„ბაზისბანკისგან“ მიღებულია:

- საკრედიტო ხაზები აშშ დოლარებში, წლიური საპროცენტი განაკვეთი 7.25-8%, სესხის ვადა 12 თვე. 2024 წლის ბოლოს დარჩენილი გადასახდელი თანხა (ძირი) შეადგენდა - 330,549 აშშ დოლარს, ხოლო 2023 წლის ბოლოს - 166,658 აშშ დოლარს.

„პროკრედიტ ბანკისგან“ მიღებულია:

- „პროკრედიტ ბანკისგან“ მიღებულია საკრედიტო ხაზები ევროში, წლიური საპროცენტი განაკვეთი 6%, სესხის ვადა 12 თვე. 2024 წლის ბოლოს დარჩენილი გადასახდელი თანხა (ძირი) შეადგენდა 387,701 ევროს, ხოლო 2023 წლის ბოლოს - 59,766 ევროს.

- „პროკრედიტ ბანკისგან“ მიღებულია საკრედიტო ხაზები აშშ დოლარებში, წლიური საპროცენტი განაკვეთი 7%, სესხის ვადა 12 თვე. 2024 წლის ბოლოს დარჩენილი გადასახდელი თანხა (ძირი) შეადგენდა 597,157 აშშ დოლარს, ხოლო 2023 წლის ბოლოს - 428,285 აშშ დოლარს.

შპს „ახალი ნათება“

განმარტებითი შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

- „პროგრედიტ ბანკისგან“ მიღებულია გრაფიკული სესხი აშშ დოლარებში, წლიური საპროცენტი განაკვეთი 5.1%, სესხის ვადა 10 წელი, 2030 წლამდე. 2024 წლის ბოლოს დარჩენილი გადასახდელი თანხა (ძირი) შეადგენდა - 1,096,720 აშშ დოლარს, ხოლო 2023 წლის ბოლოს - 1,253,843 აშშ დოლარს.

	31.12.2024	31.12.2023
სს პროგრედიტ ბანკი	6 088 206	4 701 738
სს ბაზისბანკი	927 777	448 209
	7 015 983	5 149 946

კოვენანტები: კომპანია ექვემდებარება გარკვეულ პირობებს, რომლებიც დაკავშირებულია სს „პროგრედიტ ბანკი“-სგან და სს „ბაზისბანკი“-სგან აღებულ სესხებთან. ასეთი პირობების შეუსრულებლობამ შეიძლება გამოიწვიოს კომპანიისთვის უარყოფითი შედეგები, მათ შორის სესხების ღირებულების ზრდა და ვალდებულებების შეუსრულებლობის გამოცხადება.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას არ დაურღვევია არცერთი ფინანსური შეთანხმება. ამიტომ, სესხები კლასიფიცირდება, როგორც მიმდინარე და გრძელვადიანი, სახელშეკრულებო დაფარვის თავდაპირველი გრაფიკის საფუძველზე.

15. სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები

კომპანიის სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები დაკავშირებულია გამოყენების უფლების მქონე აქტივთან.

საიჯარო ვალდებულებები 01.01.2024	3 668 810
საიჯარო ვალდებულების მატება	185 755
საიჯარო ვალდებულებებთან დაკავშირებული საპროცენტო ხარჯი	(404 699)
მოკლევადიან იჯარებთან დაკავშირებული ხარჯი	(54 986)
დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარებთან დაკავშირებული ხარჯი	(130 164)
ცვლად საიჯარო გადახდებთან დაკავშირებული ხარჯი	(426 377)
ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული ვალდებულების ზრდა/კლება	21 811
სულ ხარჯები:	(994 415)
ხარჯები აღიარებული მიმდინარე პერიოდის ხარჯად	(994 415)
საიჯარო ვალდებულების დაფარვა	(915 151)
საიჯარო ვალდებულებები 31.12.2024	3 322 303

საიჯარო ვალდებულებების მიმდინარე ნაწილი 31.12.2024	725 427
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულებები 31.12.2024	2 596 876

შპს „ახალი ნათება“

განმარტებითი შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

საიჯარო ვალდებულებები 01.01.2023	2 669 044
საიჯარო ვალდებულების მატება	1 603 695
საიჯარო ვალდებულებებთან დაკავშირებული საპროცენტო ხარჯი	(197 766)
მოკლევადიან იჯარებთან დაკავშირებული ხარჯი	(1 050)
დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარებთან დაკავშირებული ხარჯი	(109 303)
ცვლად საიჯარო გადახდებთან დაკავშირებული ხარჯი	(519 949)
ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული ვალდებულების ზრდა/კლება	(137 751)
სულ ხარჯები:	(965 819)
ხარჯები აღიარებული მიმდინარე პერიოდის ხარჯად	(965 819)
საიჯარო ვალდებულების დაფარვა	(939 445)
საიჯარო ვალდებულებები 31.12.2023	3 668 810
საიჯარო ვალდებულებების მიმდინარე ნაწილი 31.12.2023	457 539
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულებები 31.12.2023	3 211 271

16. ამონაგები

	2024	2023
შემოსავალი მომსახურებიდან და რეალიზაციიდან	36 711 891	38 402 168
გაყიდული საქონლის უკან დაბრუნება	(180 856)	(293 129)
სხვა საოპერაციო შემოსავლები	49 565	146 354
	36 580 600	38 255 392

17. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

	2024	2023
განათების საშუალებები	(14 670 090)	(15 802 478)
ავეჯი	(5 037 867)	(5 727 014)
აქსესუარები	(104 673)	(157 720)
	(19 812 630)	(21 687 212)

კომპანია რეალიზებული საქონლის თვითღირებულების ხარჯებში ასახვას ახორციელებს მარაგების ჩამოწერის საშუალო შეწონილ ფასთან მეთოდით.

18. მიწოდების ხარჯები

	2024	2023
რეკლამის ხარჯები	(734 540)	(546 350)
შრომის ანაზღაურება მიწოდებაზე	(4 701 309)	(4 141 874)
დიზაინერის ხარჯები	(326 565)	(284 819)
გამოყენების უფლების მქონე აქტივების ამორტიზაცია	(597 226)	(508 552)
იჯარის ხარჯები მიწოდებაზე	(652 539)	(630 303)
კომუნალური ხარჯები მიწოდებაზე	(416 984)	(418 149)
სადაზღვევო ხარჯები მიწოდებაზე	(8 571)	(5 579)
საბანკო ხარჯები მიწოდებაზე	(288 987)	(305 775)
სამეურნეო ხარჯები მიწოდებაზე	(65 857)	(66 845)
საწვავის ხარჯები მიწოდებაზე	(134 410)	(157 847)
ავტოსატრანსპორტო საშუალებების ხარჯები	(109 120)	(102 211)
კომპიუტერის ხარჯები მიწოდებაზე	(19 035)	(14 939)
რემონტის ხარჯები მიწოდებაზე	(55 113)	(10 829)
დაცვის ხარჯები	(19 560)	(20 125)
მიწოდების სხვა ხარჯები	(281 697)	(289 812)
	(8 411 513)	(7 504 010)

იჯარის ხარჯები, კომუნალური ხარჯები და დაცვის ხარჯები ძირითადად დაკავშირებულია სამალაზიე ფართობთან.

19. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2024	2023
შრომის ანაზღაურება	(1 577 229)	(1 889 212)
ინვენტარის ხარჯები	(952)	(981)
საკანცელარიო ხარჯები	(9 037)	(13 184)
კომუნიკაციის ხარჯები	(35 157)	(36 597)
საწვავის ხარჯები	(52 451)	(45 455)
კომპიუტერის ხარჯები	(19 035)	(14 939)
საკონსულტაციო ხარჯები	(25 519)	(21 921)
საგადასახადო ხარჯები	(110 207)	(115 513)
სადაზღვევო ხარჯები	(34 284)	(22 315)
საბანკო ხარჯები	(58 803)	(52 733)
მივლინების ხარჯები	(141 557)	(160 799)
წარმომადგენლობითი ხარჯები	(89 206)	(31 890)
საქველმოქმედო ხარჯები	(815)	(1 214)
სხვა ხარჯები	(81 236)	(96 118)
	(2 235 488)	(2 502 870)

20. სხვა საოპერაციო ხარჯები

	2024	2023
ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯები	(691 203)	(572 666)
არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ხარჯები	(35 069)	(15 290)
სავაჭრო მოთხოვნის გაუფასურების ხარჯები	(4 573)	(20 882)
მარაგების გაუფასურების ხარჯები	3 543	(33 377)
	(727 302)	(642 214)

21. ფინანსური ხარჯები

	2024	2023
საპროცენტო ხარჯები	(355 431)	(330 325)
საიჯარო ვალდებულებებთან დაკავშირებული საპროცენტო ხარჯი	(404 699)	(292 516)
	(760 130)	(622 842)

22. მოგება (ზარალი) სავალუტო საკურსო სხვაობებიდან**2024 წელი**

	დადებითი შედეგი	უარყოფითი შედეგი	სულ
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	8 749	(77 182)	(68 434)
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	341	(1 571)	(1 230)
სხვა აქტივები			-
სულ საკურსო მოგება(ზარალი) აქტივებიდან:	9 090	(78 753)	(69 663)
ვალდებულებები, წარმოქმნილი მიწოდებიდან და მომსახურებიდან	86 366	(117 925)	(31 559)
გადასახდელი სესხები	370 912	(627 382)	(256 470)
სხვა ვალდებულებები	67	(2 010)	(1 943)
სულ საკურსო მოგება(ზარალი) ვალდებულებებიდან:	457 345	(747 316)	(289 971)
სულ	466 435	(826 069)	(359 634)

შპს „ახალი ნათება“

განმარტებითი შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

2023 წელი

	დადებითი შედეგი	უარყოფითი შედეგი	სულ
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	5 055	(54 218)	(49 163)
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	1 461	(2 027)	(566)
სხვა აქტივები	128 647	-	128 647
სულ საკუთროსო მოგება (ზარალი) აქტივებიდან:	135 163	(56 245)	78 918
ვალდებულებები, წარმოქმნილი მიწოდებიდან და მომსახურებიდან	88 186	(56 595)	31 592
გადასახდელი სესხები	47 159	(25 233)	21 927
სხვა ვალდებულებები	232 084	(263 596)	(31 512)
სულ საკუთროსო მოგება (ზარალი) ვალდებულებებიდან:	367 430	(345 423)	22 006
სულ	502 592	(401 668)	100 924

23. სხვა არასაოპერაციო მოგება / (ზარალი)

	2024	2023
არასაოპერაციო მოგება ძს და არ. აქტ. რეალიზაციიდან	51 765	394
გამოყენების უფლების მქონე აქტივების ცვლილებით	288 966	1 996
გამოწვეული არასაოპერაციო შემოსავლები		
გამოყენების უფლების მქონე აქტივების ცვლილებით	(238 649)	-
გამოწვეული არასაოპერაციო ხარჯები		
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	184 107	63 826
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	(14 426)	(14 347)
	271 624	50 893

24. საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი ფულადი ნაკადების შეჯერება ვალდებულებების მოძრაობასთან – სესხები

2024 წელი

სასესხო და სხვა ფინანსური ვალდებულება	ვალდებულება 31.12.2023	გადახდა ფულადი სახსრებით	დადებითი საკუთრო სხვაობა	ვალდებულების აღება ფულადი სახსრების მიღებით	უარყოფითი საკუთრო სხვაობა	ვალდებულება 31.12.2024
სასესხო ვალდებულება ფინანსური ინსტიტუტების წინაშე	5 149 946	(17 109 624)	370 912	18 719 191	(627 382)	7 015 983
სულ:	5 149 946	(17 109 624)	370 912	18 719 191	(627 382)	7 015 983

2023 წელი

სასესხო და სხვა ფინანსური ვალდებულება	ვალდებულება 31.12.2022	გადახდა ფულადი სახსრებით	დადებითი საკუთრო სხვაობა	ვალდებულების აღება ფულადი სახსრების მიღებით	უარყოფითი საკუთრო სხვაობა	ვალდებულება 31.12.2023
სასესხო ვალდებულება ფინანსური ინსტიტუტების წინაშე	5 446 026	(23 912 187)	276 116	23 603 398	(288 826)	5 149 946
სულ:	5 446 026	(23 912 187)	276 116	23 603 398	(288 826)	5 149 946

25. საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი ფულადი ნაკადების შეჯერება ვალდებულებების მოძრაობასთან – პროცენტები

2024 წელი

საპროცენტო ვალდებულება	ვალდებულება 31.12.2023	გადახდა	დადებითი საკურსო სხვაობა	პროცენტის დარიცხვა	უარყოფითი საკურსო სხვაობა	ვალდებულება 31.12.2024
გადასახდელი პროცენტები ფინანსური ინსტიტუტებისთვის	-	(355 431)		355 431		-
სულ:	-	(355 431)	-	355 431	-	-

2023 წელი

საპროცენტო ვალდებულება	ვალდებულება 31.12.2022	გადახდა	დადებითი საკურსო სხვაობა	პროცენტის დარიცხვა	უარყოფითი საკურსო სხვაობა	ვალდებულება 31.12.2023
გადასახდელი პროცენტები ფინანსური ინსტიტუტებისთვის	-	(330 325)		330 325		-
სულ:	-	(330 325)	-	330 325	-	-

26. საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი ფულადი ნაკადების შეჯერება ვალდებულებების მოძრაობასთან – დივიდენდები

2024 წელი

დივიდენდის ვალდებულება	ვალდებულება 31.12.2023	გადახდა	დაკავებული გადასახადი	დადებითი საკურსო სხვაობა	დივიდენდის განაწილება	უარყოფითი საკურსო სხვაობა	ვალდებულება 31.12.2024
გადასახდელი დივიდენდები	556	(2 662 890)	(140 152)		2 805 000		2 514
სულ:	556	(2 662 890)	(140 152)	-	2 805 000	-	2 514

2023 წელი

დივიდენდის ვალდებულება	ვალდებულება 31.12.2022	გადახდა	დაკავებული გადასახადი	დადებითი საკურსო სხვაობა	დივიდენდის განაწილება	უარყოფითი საკურსო სხვაობა	ვალდებულება 31.12.2023
გადასახდელი დივიდენდები	4 240	(2 597 000)	(136 684)		2 730 000		556
სულ:	4 240	(2 597 000)	(136 684)	-	2 730 000	-	556

27. შესადარისი პერიოდის ცვლილებები

კომპანიამ 2024 წელს წარადგინა 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება შესადარისი პერიოდთან ერთად (2022 წელი). საანგარიშგებო პერიოდში კომპანიამ მიიღო გადაწყვეტილება შეეტანა შეცდომით გამოწვეული ცვლილებები შესადარისი პერიოდის მონაცემებში. აღნიშნული ცვლილებები შესწორებულ იქნა თითოეული შესაბამისი ფინანსური ანგარიშგების მუხლის შესწორებით წინა პერიოდში. ქვემოთ მოყვანილ ცხრილში აჯამებულია აღნიშნული ცვლილებების გავლენა ფინანსური ანგარიშგების შესაბამის მუხლებზე:

შპს „ახალი ნათება“

განმარტებითი შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2023 წელი	რეკლასიფიკაციით ან/და კორექტირებით გამოწვეული ცვლილებების გავლენა		
	წარდგენილი	კორექტირება	გადასინჯული
დიზაინერის ხარჯები	-	(284 819)	(284 819)
მიწოდების ხარჯები	-	(284 819)	(284 819)
საკონსულტაციო ხარჯები	(306 740)	284 819	(21 921)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(306 740)	284 819	(21 921)
ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯები	(587 956)	15 290	(572 666)
არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ხარჯები	-	(15 290)	(15 290)
სხვა საოპერაციო ხარჯები	(587 956)	0	(587 956)

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2023 წელი	რეკლასიფიკაციით ან/და კორექტირებით გამოწვეული ცვლილებების გავლენა		
	წარდგენილი	კორექტირება	გადასინჯული
მიმწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები	(27 721 042)	939 445	(26 781 597)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:	(27 721 042)	939 445	(26 781 597)
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა	-	(939 445)	(939 445)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან:	-	(939 445)	(939 445)

28. კაპიტალის მართვა

კომპანიის კაპიტალი მოიცავს აქციონერების კაპიტალს და დაგროვილ გაუნაწილებელ მოგებას. მენეჯმენტი/კორპორატიული ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კაპიტალის შენარჩუნებაზე და ზრდაზე, ასევე მფლობელებისთვის ადეკვატური შემოსავლის მიღებაზე.

კაპიტალის მართვისას, კომპანიის მიზნები გახლავთ დაცვა კომპანიის უნარისა, გააგრძელოს მუშაობა როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, რათა უზრუნველყოს უკუგება აქციონერებისათვის და სარგებელი სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის და კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურის შენარჩუნება, რათა შეამციროს კაპიტალის ღირებულება. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან კორექტირებისათვის კომპანიამ შეიძლება შეცვალოს აქციონერებისათვის დივიდენდების გადახდის ოდენობა, შეიძლება აქციონერებს დაუბრუნოს კაპიტალი ან გაყიდოს აქტივები ვალის შესამცირებლად.

29. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულების წინასწარი გაანგარიშება მიზნად ისახავს სავარაუდო ფასის მიახლოებით განსაზღვრას, რომელიც მიღებული იქნება აქტივის გასაყიდად ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადაცემისთვის თანმიმდევრული ტრანზაქციის გზით ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების დღეს. ამასთან, გაურკვევლობის გათვალისწინებით და სუბიექტური განსჯის მეშვეობით, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იქნეს

შპს „ახალი ნათება“

განმარტებითი შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ინტერპრეტირებული, როგორც რეალიზებადი აქტივების დაუყოვნებელი ნასყიდობის გზით ან ვალდებულებათა გადაცემის მეშვეობით.

კომპანიამ განსაზღვრა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებები შეფასებითი ტექნიკის გამოყენებით. შეფასების ტექნიკების მიზანია სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა, რომელიც ასახავს ფასს, რომელიც უნდა იქნეს მიღებული აქტივის გასაყიდად ან გადახდილი ვალდებულების გადაცემისთვის თანმიმდევრული ტრანზაქციის ფარგლებში ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების დღეს. გამოყენებული შეფასებითი ტექნიკა არის დისკონტირებული ფულადი საშუალებების მოძრაობის მოდელი. ყველა ფინანსური აქტივის და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება დაანგარიშდება მომავალში ძირითადი თანხისა და დარიცხული პროცენტების ფულადი საშუალებების მოძრაობის საფუძველზე, რომელთა დისკონტირება ხდება ანგარიშების დღეს პროცენტის საბაზრო განაკვეთით.

ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება მიახლოებით მათი საბალანსო ღირებულების ტოლია.

ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

	31.12.2024	31.12.2023
	საბალანსო სამართლიანი ღირებულება	საბალანსო სამართლიანი ღირებულება
ფული და ფულის ეკვივალენტები	585 360	585 360
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	740 250	740 250
საიჯარო ვალდებულება	3 322 303	3 668 810
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	460 375	1 359 893
მიღებული სესხები	7 015 983	5 149 946

30. რისკების მართვა

მმართველობითი სისტემა

კომპანიის რისკისა და ფინანსური მართვის სისტემის მთავარი მიზანია დაცვა ისეთი მოვლენებისგან, რომლებიც აბრკოლებს კომპანიის მიზნების მიღწევას და შესაძლებლობების გამოყენებას. კომპანია აანალიზებს რისკების ეფექტური და ეფექტიანი მართვის სისტემის უდიდეს მნიშვნელობას. დანერგილია პოლიტიკა, რომელიც განსაზღვრავს კომპანიის რისკზე ორიენტირებულობას, რისკის მართვას, კონტროლსა და საქმიანობის სტანდარტებს.

ფინანსური ინსტრუმენტებით სარგებლობიდან გამომდინარე, კომპანია დგას შემდეგი რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი;
- ლიკვიდურობის რისკი;
- საბაზრო რისკი.

საკრედიტო რისკი

შპს „ახალი ნათება“

განმარტებითი შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

საკრედიტო რისკი წარმოადგენს რისკს, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა იწვევს მეორე მხარის ფინანსურ ზარალს. კომპანია მართავს საკრედიტო რისკის დონეს, რომელზეც იგი პასუხისმგებელია საკრედიტო რისკის საერთო პოლიტიკით, რომელშიც შეფასებული და განსაზღვრულია, რა წარმოადგენს კომპანიისთვის საკრედიტო რისკს, რისკის ლიმიტი თითოეული კონტრაგენტის, გეოგრაფიული მდებარეობისა და საქმიანობის სფეროსთვის, გაქვითვის უფლება, როდესაც კონტრაგენტები ერთდროულად მოვალეები არიან და კრედიტორებიც.

საკრედიტო რისკი

	31.12.2024	31.12.2023
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	740 250	758 981
ფული და ფულის ეკვივალენტები	513 440	608 217
სულ საკრედიტო რისკის საფრთხე	1 253 689	1 367 198

კომპანიის საკრედიტო რისკი, ძირითადად განპირობებულია სავაჭრო მოთხოვნებიდან, ფული და ფულის ეკვივალენტებიდან (გარდა ნაღდი ფულისა). ამასთან, საკრედიტო რისკი საბანკო ანგარიშებთან მიმართებაში უმნიშვნელოა, ვინაიდან სახსრები განთავსებულია კარგი რეპუტაციის მქონე ბანკებში.

კომპანიის მომხმარებლების შესახებ არ არსებობს გამოქვეყნებული საკრედიტო რეიტინგები. აქედან გამომდინარე, კომპანია მომხმარებლებთან დაკავშირებული საკრედიტო რისკის მართვას ახდენს ინდივიდუალური მომხმარებლების შესახებ ინფორმაციის შეგროვების გზით (სადაც ეს შესაძლებელია) და მომხმარებლებისთვის, მათთან წარსული ურთიერთობის გამოცდილების გათვალისწინებით, დებიტორული დავალიანების სიდიდეზე ლიმიტის დაწესების გზით. კომპანია მომხმარებლებისგან არ მოითხოვს სავაჭრო მოთხოვნების უზრუნველყოფას. სავაჭრო მოთხოვნებთან დაკავშირებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოსათვლელად სავაჭრო მოთხოვნები დაჯგუფებულია ვადაგადაცილების დღეების მიხედვით.

31.12.2024

	არ არის ვადაგადაცილებული	ვადაგადაცილება არაუმეტეს 3 თვისა	ვადაგადაცილება 3 თვიდან 1 წლამდე	ვადაგადაცილება 1 წელზე მეტი ხნით	ჯამი
სავაჭრო მოთხოვნები - მთლიანი (ბრუტო) საბალანსო ღირებულება	-	723 096	66 079	40 991	830 166
მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი	-	(36 141)	(12 785)	(40 991)	(89 917)
სულ:	-	686 955	53 294	-	740 249

31.12.2023

	არ არის ვადაგადაცილებული	ვადაგადაცილება არაუმეტეს 3 თვისა	ვადაგადაცილება 3 თვიდან 1 წლამდე	ვადაგადაცილება 1 წელზე მეტი ხნით	ჯამი
სავაჭრო მოთხოვნები - მთლიანი (ბრუტო) საბალანსო ღირებულება	-	685 425	120 895	91 140	897 460
მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი	-	(34 271)	(13 068)	(91 140)	(138 479)
სულ:	-	651 154	107 827	-	758 981

შპს „ახალი ნათება“

განმარტებითი შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ზარალის შეჯერება:

ანარიცხი 31.12.2022	114 889
2023 შემცირება გადახდის შედეგად	(37 190)
2023 შემცირება ჩამოწერის შედეგად	-
2023 გაზრდა	60 780
ნეტო შედეგი	23 590
ანარიცხი 31.12.2023	138 479
2024 შემცირება გადახდის შედეგად	(48 357)
2024 შემცირება ჩამოწერის შედეგად	(44 339)
2024 გაზრდა	44 135
ნეტო შედეგი	(48 561)
ანარიცხი 31.12.2024	89 918

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ საწარმოს შეექმნება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის საკონტრაქტო პირობების შესრულებისას, რამაც შესაძლოა, მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს კომპანიის ფუნქციონირებაზე. ლიკვიდურობის რისკის წინდახედული მექანიზმი გულისხმობს საკმარისი თანხისა და საკრედიტო რესურსების ქონას, რათა დაკმაყოფილებულ იქნას ბაზრის მოთხოვნები.

კომპანიამ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მუხლში „სავაჭრო მოთხოვნები“ და „სავაჭრო ვალდებულებები“ ასახული თანხა უნდა მიიღოს ან დაფაროს 6 თვის ვადაში. მუხლში „გაცემული სესხები“ ასახული თანხა კომპანიამ უნდა მიიღოს 2 წლის ვადაში.

ლიკვიდურობის რისკი			
31 დეკემბერი 2024	< 1 წელი დან 5 წლამდე		სულ
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	585 360	-	585 360
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	740 250	-	740 250
სულ ფინანსური აქტივები	740 250	-	740 250
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	460 375	-	460 375
საიჯარო ვალდებულება	725 427	2 596 876	3 322 303
მიღებული სესხები	2 596 314	4 419 669	7 015 983
სულ ფინანსური ვალდებულებები	1 185 802	2 596 876	3 782 678
ლიკვიდურობის წმინდა პოზიცია	(445 552)	(2 596 876)	(3 042 428)

შპს „ახალი ნათება“

განმარტებითი შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

31 დეკემბერი 2023	< 1 წელი დან 5 წლამდე		სულ
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	608 217	-	608 217
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	758 981	-	758 981
სულ ფინანსური აქტივები	758 981	-	758 981
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1 359 893	-	1 359 893
საიჯარო ვალდებულება	457 539	3 211 271	3 668 810
მიღებული სესხები	2 200 427	2 949 519	5 149 946
სულ ფინანსური ვალდებულებები	1 817 432	3 211 271	5 028 703
ლიკვიდურობის წმინდა პოზიცია	(1 058 451)	(3 211 271)	(4 269 722)

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გავლენით.

საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას საწარმოს მიერ პროცენტის, სავაჭრო ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი):

საპროცენტო რისკი

საპროცენტო რისკი არის რისკი (ცვალებადი ღირებულებით), რომელსაც ატარებს პროცენტის აქტივი, როგორცაა სესხი, მცოცავი საპროცენტო განაკვეთის არსებობის გამო. საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიქმნება, როდესაც მოცემული ვადიანობის ფაქტობრივი ან მოსალოდნელი აქტივები მეტია ან ნაკლებია იმავე ვადიანობის ფაქტობრივ ან მოსალოდნელ ვალდებულებებზე.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. სავალუტო რისკი გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსური რისკების განსაზღვრაზე. კომპანია ატარებს სავალუტო რისკს, რომელიც დაკავშირებულია მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებთან.

მგრძნობელობის ანალიზი

ლარის შესაძლო გამყარება/შესუსტება, როგორც ეს ქვემოთაა ნაჩვენები, ევროს, აშშ დოლარისა და ჩინური იუანის მიმართ 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გავლენას მოახდენს უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური ინსტრუმენტების შეფასებაზე და კაპიტალზე და მოგება/ზარალზე გადასახადების შემდეგ ქვემოთ მოცემული თანხების ოდენობით. სავალუტო დინამიკა პირდაპირ გავლენას არ მოახდენს სხვა მთლიან შემოსავალსა თუ კაპიტალზე.

შპს „ახალი ნათება“

განმარტებითი შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ანალიზის თანახმად ივარაუდება, რომ ყველა სხვა ცვლადები, განსაკუთრებით საპროცენტო განაკვეთები, რჩება უცვლელი და არ ითვალისწინებს პროგნოზული გაყიდვების და შესყიდვების ზემოქმედებას.

სავალუტო რისკი

31.12.2024

	EUR	USD	CNY	სულ
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1	2	15	17
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	-	-	-	-
აქტივები სულ:	1	2	15	17
ვალდებულებები, წარმოქმნილი მიწოდებიდან და მომსახურებიდან	(196 373)	(84 380)	(507)	(281 261)
მიღებული სესხები	(1 333 831)	(5 682 152)	-	(7 015 983)
სხვა ვალდებულებები	-	(1 494 202)	-	(1 494 202)
ვალდებულებები სულ:	(1 530 204)	(7 260 735)	(507)	(8 791 446)
ნეტო შედეგი	(1 530 204)	(7 260 733)	(493)	(8 791 429)
USD (10% ცვლილება)	(726 073)			
EUR (10% ცვლილება)	(153 020)			
CNY (10% ცვლილება)	(49)			

31.12.2023

	EUR	USD	CNY	სულ
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1	275	24	300
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	35 756	7 883	-	43 639
აქტივები სულ:	35 757	8 158	24	43 939
ვალდებულებები, წარმოქმნილი მიწოდებიდან და მომსახურებიდან	(557 135)	(201 349)	(553)	(759 037)
მიღებული სესხები	(177 822)	(4 972 124)	-	(5 149 946)
სხვა ვალდებულებები	-	(1 355 052)	-	(1 355 052)
ვალდებულებები სულ:	(734 957)	(6 528 525)	(553)	(7 264 034)
ნეტო შედეგი	(699 200)	(6 520 367)	(529)	(7 220 096)
USD (10% ცვლილება)	(652 037)			
EUR (10% ცვლილება)	(69 920)			
CNY (10% ცვლილება)	(53)			

31. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

შპს „ახალი ნათება“

განმარტებითი შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ბასს 24-ის („დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“) მიხედვით, მხარეები ითვლებიან დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. შესაძლო დაკავშირებული მხარეების თითოეული შემთხვევის განხილვისას ყურადღება უნდა მიექცეს არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას, არამედ იმასაც, თუ როგორია მათ შორის ურთიერთობა. დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ განხორციელდეს იმავე პირობებზე და თანხებზე, როგორზეც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის.

განხორციელებული ტრანზაქციები პარტნიორთან და ძირითად მენეჯმენტთან

	31.12.2024	31.12.2023	2024 წელი	2023 წელი
გადასახდელი დივიდენდები	2 514	556		
იჯარის ხარჯები			(151 200)	(151 200)
ხელფასის ხარჯები			(432 435)	(439 454)
მივლინების ხარჯები			(42 449)	(33 652)
გაცემული დივიდენდები			(2 805 000)	(2 730 000)

ტრანზაქციები სხვა დაკავშირებულ მხარეებთან

	31.12.2024	31.12.2023	2024 წელი	2023 წელი
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	43 765	1 640		
მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	90 226	37 690		
ამონაგები			411 431	546 642
სხვა საოპერაციო შემოსავლები			23 656	36 932
მარაგები			152 356	387 950
იჯარის ხარჯები			(347 600)	(430 324)
ხელფასის ხარჯები			(382 657)	(534 929)
მივლინების ხარჯები			(56 837)	(63 571)

კომპანიის პარტნიორისთვის გაცემულია დივიდენდები;

კომპანიას პარტნიორისგან მიღებული აქვს იჯარით ფართი;

კომპანიას გააჩნია გაცემული სარგებელი (ხელფასი და სხვა) უმაღლესი რგოლის მენეჯმენტისათვის;

კომპანიას გააჩნია გაცემული მივლინების თანხები უმაღლესი რგოლის მენეჯმენტისათვის;

კომპანიას სხვა დაკავშირებული მხარეებისგან მიღებული აქვს იჯარით ფართები, რეალიზებულია მარაგები; გაცემულია ხელფასი; სხვა ტრანზაქციები - არაარსებითია.

32. გაუთვალისწინებელი გარემოებები

სასამართლო დავები

ბიზნესის ნორმალური მიმდინარეობისას, დროდადრო შეიძლება კომპანიის წინააღმდეგ პრეტენზიები იქნას წაყენებული. საკუთარი შეფასების საფუძველზე, აგრეთვე შიდა და გარე

შპს „ახალი ნათება“

განმარტებითი შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

პროფესიული კონსულტაციების საფუძველზე, ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ არანაირი არსებითი დანაკარგი არ იქნება გამოწვეული მიმდინარე სასამართლო დავების გამო. აქედან გამომდინარე, ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში რაიმე ანარიცხი შესაძლო ჯარიმებთან დაკავშირებით არ გაკეთებულა.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საერთო სასამართლოებში, კომპანიას არ გააჩნდა სასამართლო დავა.

33. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2025 წლის იანვარში გამოცხადებულ იქნა დივიდენდი ჯამში 4,300,000 ლარის ოდენობით, აქედან ძირითადი ნაწილის ფაქტობრივი გაცემა უკვე განხორციელდა, ხოლო დარჩენილი ნაწილის გაცემა უნდა განხორციელდეს 2025 წლის ბოლომდე.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სხვა ისეთ მნიშვნელოვან მოვლენებს, რომლებიც შეიძლება იწვევდეს ფინანსური ანგარიშგების მუხლების შესწორებას ან განმარტებითი შენიშვნების დამატებას, ადგილი არ ჰქონია.

34. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებული და გამოსაცემად ნებადართულია 2025 წლის 30 სექტემბერს კომპანიის მენეჯმენტის მიერ. კომპანიის ხელმძღვანელობას უფლება აქვს შეცვალოს ფინანსური ანგარიშგება გამოშვების შემდეგ.

შპს „ახალი ნათების“ 2024 წლის მმართველობის ანგარიშგება

(საქმიანობის მიმოხილვა)

კომპანიის დაარსების ისტორია და ძირითადი ინფორმაცია დამფუძნებლების, დირექტორებისა და სამართლებრივი სტატუსის შესახებ

კომპანია „ახალი ნათება“ (საიდენტიფიკაციო კოდი - 202066156) დაარსდა 1999 წელს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სამართლებრივი სტატუსით ზურაბ გაბინაშვილისა და ირმა გაბინაშვილის მიერ თანაბარი წილობრივი მონაწილეობით, საწესდებო კაპიტალით 2000 ლარი.

2012 წელს სარეგისტრაციო მონაცემებში განხორციელდა ცვლილებები და კომპანიის ერთპიროვნული პარტნიორი გახდა ზურაბ გაბინაშვილი.

კომპანიის მმართველობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირები არიან კომპანიის პრეზიდენტი ზურაბ გაბინაშვილი და გენერალური დირექტორი თემურ არდოტელი. ორივე მათგანი საზოგადოებას წარმოადგენენ როგორც ცალ-ცალკე ერთპიროვნულად, ასევე ერთად.

კომპანიის ორგანიზაციული სტრუქტურა

კომპანიის ორგანიზაციული სტრუქტურა წარმოდგენილია შემდეგი რგოლებისა და მათი ხელმძღვანელების/კოორდინატორების სახით: კომერციული განყოფილება, ფინანსური განყოფილება, მარკეტინგის განყოფილება, ტექნიკური განყოფილება, იურიდიული განყოფილება, სამეურნეო განყოფილება, IT განყოფილება, შიდა მონიტორინგისა და უსაფრთხოების განყოფილება, კადრების მართვისა და კოორდინაციის განყოფილება, სასაქონლო მარაგების შესყიდვების, მართვისა და ლოჯისტიკის განყოფილება.

ქვედა რგოლის მენეჯმენტს შეადგენენ ფილიალების მენეჯერები, რომლებიც ახორციელებენ ფილიალების ოპერატიულ მართვას შესაბამისი ლოკაციების მიხედვით.

კომპანიის მისია და საქმიანობის მიზანი

შპს „ახალი ნათების“ მისია არის მაღალი ხარისხის სერვისთან ერთად თანამედროვედ მოწყობილ კონცეპტუალური საგამოფენო სივრცეების მეშვეობით მომხმარებელს შესთავაზოს უმაღლესი ხარისხისა და მოწინავე ტექნოლოგიებით წარმოებული პროდუქციის ფართო სპექტრი, რომელიც პასუხობს თანამედროვე ტენდენციებს განათების, ავეჯისა და აქსესუარების ინდუსტრიაში. ამ მხრივ კომპანია სისტემატურად დგამს აქტიურ ნაბიჯებს. სერვისის გაუმჯობესების მიზნით წელიწადში რამოდენიმეჯერ ხორციელდება საკადრო პერსონალის გადამზადება როგორც საქართველოში, ასევე უცხოეთში. სისტემატურად ხდება აქტუალურ საერთაშორისო გამოფენებზე შესაბამისი პროფილის სპეციალისტების მივლინება, რათა მუდმივად ხორციელდებოდეს თანამედროვე კოლექციების პრეზენტაცია ჩვენს შოუროუმებში.

კომპანიას აქვს უახლესი IT ტექნოლოგიების გათვალისწინებით დანერგილი ონლაინ რესურსები, როგორებიცაა: IOS და Android-ის სისტემებისთვის შექმნილი მულტიფუნქციური მობილური აპლიკაცია; თანამედროვე ვებგვერდი ონლაინ კომერციის ფუნქციით რომელშიც ინტეგრირებულია თანამედროვე ecommerce-ისათვის დამახასიათებელი საშუალებები; თანამედროვე სააღრიცხვო პროგრამები რომელთაც ვიყენებთ ბუღალტრული, მენეჯერული და საკადრო აღრიცხვის

მიმართულებით; მყარი ლოჯისტიკური პლატფორმა, რომელიც შედგება საკუთარი მძლავრი სასაწყობო ინფრასტრუქტურისა და ავტოპარკისაგან, რომელიც უზრუნველყოფს როგორც საქონლის მიმოცვლას ფილიალებს შორის ასევე შეძენილი პროდუქციის მომხმარებელთან მიწოდების სერვისს. რეგულარულად ხორციელდება მონიტორინგი და განახლება როგორც სავაჭრო საგამოფენო სივრცეების, ასევე სასაწყობო ლოჯისტიკური საშუალებებისა და ავტოპარკის მიმართულებით.

ძირითადი საკითხების მიმოხილვა

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს გამანათებელი საშუალებების, ავეჯისა და აქსესუარების იმპორტი და რეალიზაცია. სამიზნე სამომხმარებლო სეგმენტს წარმოადგენს საცალო ქსელი და კერძო კორპორატიული სექტორი. განათების სფეროში 26 წლიანი მოღვაწეობის გამოცდილებიდან გამომდინარე, ამ ბაზარზე კომპანია ძლიერად არის წარმოდგენილი და ბრენდის ცნობადობა და პოზიციონირებაც მასშტაბურია. ავეჯისა და აქსესუარების სეგმენტში კომპანიამ დივერსიფიცირება გააკეთა 2013 წლის მიწურულს, ჩამოაყალიბა ბრენდი „ფორუმი ახალი ნათებისაგან“, რომლის მასშტაბები, ცნობადობა და პოზიციებიც ბაზარზე წლიდან წლამდე იზრდება და ვითარდება.

კომპანია ბაზარზე ფართო სავაჭრო ქსელით არის წარმოდგენილი, რომელიც მოიცავს ჩვიდმეტ სავაჭრო ობიექტს თბილისსა და რეგიონებში. მათგან ცამეტი წარმოადგენილია განათების პროფილით, ხოლო ოთხ სავაჭრო პავილიონში ინტეგრირებულია განათება, ავეჯი და აქსესუარები. ფილიალების ფართო ქსელი კომპანიას შესაძლებლობას აძლევს გააძლიეროს ბაზარზე პოზიციონირების გეოგრაფიული არეალი და გააუმჯობესოს მომხმარებელთან წვდომა.

ასევე კონკურენტულ უპირატესობას ქმნის მძლავრი საკუთარი სასაწყობო ინფრასტრუქტურა და სასაქონლო მარაგები, რაც უზრუნველყოფს მომხმარებელთა მზარდი მოთხოვნების ოპერატიულად დაკმაყოფილებას. მაღალი ხარისხის პროდუქცია, ოპტიმალურად წარმოდგენილი საფასო პოლიტიკა, განვითარებული მომსახურების სერვისი, საგარანტიო მომსახურება, მრავალფეროვანი მარკეტინგული აქტივობები მომხმარებელთან მაქსიმალური დაახლოების შესაძლებლობას ქმნის.

პროდუქციის ვრცელი ასორტიმენტი და მრავალფეროვანი არჩევანი, როგორც დიზაინის ისე საფასო კატეგორიის კუთხით, სხვადასხვა გემოვნებისა და მსყიდველობითუნარიანი მომხმარებლის მოთხოვნის დაკმაყოფილების მაქსიმალურ შესაძლებლობას იძლევა.

კომპანია თანამშრომლობს ევროპისა და აზიის ათეულობით მომწოდებელთან, მათ შორის წარმოადგენთ ისეთ წამყვან მსოფლიო ბრენდებს, როგორებიცაა PHILIPS, ARTEMIDE, DELTA LIGHT, EGLO, OSRAM, OPPEL, FUMAGALLI, FARO BARCELONA, VONDOM, FURNINOVA, NARDI, LIFE OUTDOOR, ZILSTRA და სხვა.

კომპანიის სავაჭრო ნიშნები „ახალი ნათება“, „New Light“, „ფორუმი ახალი ნათებისაგან“, „Forum by New Light“ რეგისტრირებულია „საქპატენტში“.

შპს „ახალი ნათება“ მომხმარებელზე ორიენტირებული კომპანიაა, რომლისთვისაც რეპუტაცია სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, ისევე როგორც ძირითადში ყველა რითეილ სექტორზე ორიენტირებული კომპანიისთვის, რომელსაც აქვს ხანგრძლივი მოღვაწეობის ისტორია და მზარდი განვითარების დინამიკა. შედეგად კომპანია უკომპრომისოდ აქცენტს აკეთებს ხარისხიანი პროდუქციის წარდგენასა და მომხმარებელთან კეთილსინდისიერი ურთიერთობის დამყარებაზე.

ბრენდის განვითარების მხრივ სისტემატური ზრუნვის საგანია თანამედროვე სერვისების დანერგვა და განვითარება, თამამი გადაწყვეტილების მიღება და ინოვაციური ნაბიჯების გადადგმა.

მართვის მაქსიმალურად მოქნილი და ეფექტიანი სისტემის უზრუნველყოფისთვის კომპანიის სხვადასხვა რგოლებისთვის გაწერილი და ჩამოყალიბებულია საოპერაციო სტანდარტები და პროცედურები. სწრაფი ოპერირებისათვის აქტიურად გამოიყენება IT ტექნოლოგიები, რომლებიც ხელს უწყობენ დავალებების სწრაფ შესრულებას, ინფორმაციის ეფექტიან მიმოცვლას სხვადასხვა რგოლებს შორის (შესყიდვები-საწყობი-გაყიდვების ქსელი-ადმინისტრაცია).

შესყიდვების მართვისა და ლოჯისტიკის განყოფილებაში ინტენსიურად მუშავდება სასაქონლო მარაგების ანალიტიკური მონაცემები რაც უზრუნველყოფს ლიკვიდური მარაგების დადგენას, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს შესყიდვების გუნდს მათი სასიცოცხლო ციკლის გათვალისწინებით განახორციელოს პროდუქციის ბაზარზე შეუფერხებელი მიწოდება საჭირო რაოდენობებით.

დასაქმებულთა წახალისებისა და მოტივაციის ამაღლების მიზნით სისტემატურ რეჟიმში ხორციელდება მატერიალური წახალისება (ბონუსები, პრემიები, ფასიანი საჩუქრები), პერიოდულად - სხვადასხვა სასწავლო პროგრამების სწავლის სრული ან ნაწილობრივი დაფინანსება, უტარდებათ ტრენინგები კვალიფიკაციის ამაღლების კუთხით როგორც ადგილზე, ასევე უცხოეთში, დამსახურების მიხედვით ხორციელდება შესაბამისი კადრების დაწინაურება.

ამჟამად დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენს 200-მდე თანამშრომელს, რომელთათვის ღირსეული სამუშაო გარემოს შექმნა და განვითარება კომპანიის მუდმივი ზრუნვის საგანია.

შპს „ახალი ნათება“ აქცენტს აკეთებს ბაზარზე ეკოლოგიური და ენერგოეფექტური პროდუქციის აქტიურ დანერგვაზე, ასევე მის მიერ საკუთარი მოხმარებისთვის განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებშიც მაქსიმალურად გამოყენებულია ამ ტიპის მოწინავე ტექნოლოგიები.

კომპანიის მთლიანი ინფრასტრუქტურა აღჭურვილია დაცვისა და სახანძრო უსაფრთხოების თანამედროვე სისტემებით, პერმანენტულად ახლდება შესაბამისი ინვენტარი და და საჭირო მატერიალური ბაზა. 24-საათიანი თანამედროვე ციფრული ვიდეო სამეთვალყურეო სისტემა უზრუნველყოფს უსაფრთხოების სტანდარტების მაქსიმალურ დაცვას.

მოწვეულ სპეციალისტთან ერთად, საერთაშორისო გამოცდილებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით, აგრეთვე ადგილობრივი კანონმდებლობის მოთხოვნების მიხედვით შემუშავებული და დანერგილია შრომის უსაფრთხოების პროცედურები და სტანდარტები, რათა კომპანიაში დასაქმებული პერსონალი უზრუნველყოფილი იყოს უსაფრთხო შრომის გარემოთი. თანამედროვე მულტიფუნქციური კადრების აღრიცხვის ელექტრონული პროგრამა თანხვედრაშია შრომის კოდექსით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან და ამასთანავე იძლევა საშალებას როგორც დასაქმებულეთათვის ისე დამსაქმებელისთვის გამარტივებულად აწარმოონ შესაბამისი პროცესები.

მძლავრი სასაწყობო-ლოჯისტიკური ინფრასტრუქტურა კომპანიის განვითარების მნიშვნელოვანი ქვაკუთხედი. ამ მხრივ ბოლო წლებში განხორციელებული მნიშვნელოვანი ინვესტიციების შედეგად კომპანიას აქვს 5 000 კვადრატულ მეტრზე მეტი, სათანადო ინვენტარით აღჭურვილი საკუთარი სასაწყობო ინფრასტრუქტურა. მძლავრი და თანამედროვე ავტოპარკი კი უზრუნველყოფს პროდუქციის ოპერატიულ მიმოქცევას ფილიალებს შორის და მომხმარებლებთან ადგილზე მიწოდების ეფექტურ სერვისს.

ფილიალების შესახებ ინფორმაცია

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას გააჩნდა 16 (თექვსმეტი) მაღაზია-სალონი. ამათგან 10 (ათი) მდებარეობს ქ. თბილისში, ხოლო 6 (ექვსი) - საქართველოს სხვა რეგიონებში.

ფილიალები, სადაც წარმოდგენილია ავეჯი, განათება და აქსესუარები:

„ფორუმი ახალი ნათებისაგან“ - მისამართი: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი N199, დაარსების თარიღი - 2013 წელი;

„„ფორუმი ახალი ნათებისაგან“ - მისამართი: ქ. თბილისი, თვალჭრელიძის #2, ისტპოინტის სავაჭრო ცენტრი დაარსებულია 2019 წელს;

„ფორუმი ახალი ნათებისაგან“ - ბათუმის ფილიალი, მისამართი: ქ. ბათუმი, ხიმშიაშვილის #1, დაარსებულია - 2015 წელს;

„ფორუმი ახალი ნათებისაგან“ - ბათუმის ფილიალი, მისამართი: ქ. ბათუმი, ჟ. შარტავას #7, დაარსების თარიღი 2020 წელი.

ფილიალები, სადაც წარმოდგენილია გასანათებელი საშუალებები:

ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი #199, ახალი ნათების ცენტრალური სავაჭრო პავილიონი დაარსებულია 2006 წელს;

ქ. თბილისი, თვალჭრელიძის #2, ისტპოინტის სავაჭრო ცენტრი დაარსებულია 2019 წელს;

ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 25ა, დაარსებულია 2001 წელს (დაემატა ახალი შოურუმი 2024 წელს);

ქ. თბილისი, წერეთლის გამზ. #116, დაარსებულია 2009 წელს;

ქ. თბილისი, დიდუბის (ყიფიანის) ქ. #6, დაარსებულია 1999 წელს;

ქ. თბილისი, შეშელიძის ქ. #45, დაარსებულია 2012 წელს;

ქ. თბილისი, წულუკიძის #11, დაარსებულია 2009 წელს;

ქ. თბილისი, ელიავას ბაზრობის ტერიტორია, სავაჭრო ცენტრი GA, დაარსებულია 1999 წელს, (ლოკაცია შეიცვალა 2011 წელს);

ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის #21, დაარსებულია 2006 წელს (ლოკაცია შეიცვალა 2008 წელს);

ქ. ფოთი, ფარნავაზ მეფის #1, დაარსებულია 2011 წელს;

ქ. ქუთაისი, აღმაშენებლის #7, დაარსებულია 2007 წელს;

ქ. გორი, სტალინის #8, დაარსებულია 2007 წელს (ლოკაცია შეიცვალა 2014 წელს).

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

კომპანიის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები და მათი დინამიკა შემდეგნაირად გამოიყურება:

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, კომპანია წარმოადგენს კანონით განსაზღვრულ მეორე კატეგორიის საწარმოს.

2024 წლის ბოლოსათვის, კომპანიის კაპიტალი შეადგენს 28.7 მილიონ ლარს, მოკლევადიანი აქტივების ღირებულება - 25.0 მილიონ ლარს, ხოლო გრძელვადიანი აქტივების ღირებულებამ ამავე პერიოდისთვის შეადგინა 15.4 მილიონი ლარი.

2023 წლის ბოლოსათვის, კომპანიის კაპიტალი შეადგენდა 27 მილიონ ლარს, მოკლევადიანი აქტივების ღირებულება - 23.3 მილიონ ლარს, ხოლო გრძელვადიანი აქტივების ღირებულებამ ამავე პერიოდისთვის შეადგინა 15.4 მილიონი ლარი.

კომპანიის ამონაგებმა 2024 წელს - 36.6 მილიონი ლარი შეადგინა, ხოლო 2023 წელს - 38.2 მილიონი ლარი.

2024 წლის სახელფასო ფონდმა 5.2 მილიონი ლარი შეადგინა, ხოლო 2023 წელს 6.0 მილიონი ლარი.

ბიუჯეტში გადასახადების სახით კომპანიას 2024 წელს გადახდილი აქვს 7.9 მილიონი ლარი, ხოლო 2023 წელს 7.8 მილიონი ლარი.

რისკების კუთხით ყურადღებას გავამახვილებს ისეთ გლობალური გამოწვევებსა და სირთულეებზე, როგორიცაა უკრაინაში მიმდინარე საომარი მოქმედებები, შრომის ბაზარზე შემქნილი მწვავე საკადრო დეფიციტი, ინფლაციური პროცესებით გამოწვეული გაზრდილი დანახარჯები. ყოველივე ზემოთ აღწერილი ფაქტორების მიუხედავად 2024 წელს ჩვენი კომპანიისათვის წარმატებულ წლად შევაფასებთ, რადგან ვინარჩუნებთ სტაბილურობას და ვახდენთ ადაპტაციას არსებულ გამოწვევებთან მიმართებაში და ვახორციელებთ ახალ პროექტებსაც, რომლებიდანაც გამოვყოფდი, ჩვენი ფილიალების რეორგანიზაციას ისთფონთის სავაჭრო ცენტრში. კერძოდ, წლის ბოლომდე განხორციელდება იქ ამჟამად მდებარე ჩვენი განათების ფილიალის ლოკაციის შეცვლა, გადავა სავაჭრო ცენტრის ახლად გახსნილ ფლიგელში, უფრო პრემიუმ ადგილას, 500 კვადრატული მეტრის ფართობში განახლებული ინტერიერითა და პროდუქციის უკეთესი პრეზენტაციითა და ბოლო კოლექციით. მიმდინარეობს აქტიური საპროექტო სარემონტო სამუშაოები და სავარაუდოდ ნოემბრის ბოლოს, დეკემბრის დასაწყისში გავხსნით განახლებულ ფილიალს.

ჩვენთვის მთავარი პოზიტიური მოლოდინის ფაქტორი იქნება თუ შენარჩუნდება ქვეყანაში არსებული ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი და სავალუტო გაცვლითი კურსის არსებული დონე.

რაც შეეხება მიმდინარე პერიოდისთვის არსებულ არასახარბიელო გარემოებას, ეს არის გლობალური პოლიტიკური პროცესების ტურბულენტობა, რომლის დასტაბილურებაც უმთავრეს განმაპირობებელ ფაქტორს წარმოადგენს ზოგად საკაცობრიო განვითარების მხრივ როგორც ჰუმანიტარული ისე სოციალური და ეკონომიკური კუთხით.

დამატებით დავძენ, რომ კომპანიის მზარდი დინამიკური განვითარების ტენდენცია, მყარი ფინანსური მდგომარეობა და რეპუტაცია ბაზარზე, იძლევა სტაბილური განვითარების საფუძველს სამომავლოდ.

საქმიანობის მიმოხილვა მომზადებულია შპს „ახალი ნათების“ გენერალური დირექტორის თემური არდოტელის მიერ 2025 წლის 30 სექტემბერს:



შპს აუდიტური კონცერნი „ცოდნისა“

საიდენტიფიკაციო № 211344188. www.tsodnisa.ge ელ. ფოსტა: info@tsodnisa.ge
თბილისი 0177, ვაჟა-ფშაველას გამზ. № 41, IV სართული. ტელ.: 239-33-50, 239-33-69

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ახალი ნათების“ პარტნიორსა და მენეჯმენტს

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ახალი ნათების“ (საიდენტიფიკაციო ნომერი – 202066156) (შემდგომში – „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის – „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ – ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან „ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო საბჭოს“ „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ (IESBA-კოდექსი) და საქართველოში მოქმედი ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებული ეთიკის ნორმების შესაბამისად და ჩვენ აგრეთვე შევასრულეთ IESBA-კოდექსის და ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებები. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია, რომელიც არ არის ფინანსური ანგარიშგება და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნა

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის თანახმად:

შპს „ახალი ნათება“

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

გვერდი 2

„1. სდპ-მა და პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოებმა უნდა მოაწზადონ და სამსახურს უნდა წარუდგინონ მმართველობის ანგარიშგება...“

2. მმართველობის ანგარიშგება მოიცავს:

ა) საქმიანობის მიმოხილვას; ბ) კორპორაციული მართვის ანგარიშგებას; გ) არაფინანსურ ანგარიშგებას.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობის მიმოხილვას ამზადებენ სდპ და პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოები...

10. სდპ და პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოები ვალდებული არიან, მმართველობის ანგარიშგება მიაწოდონ აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას. აუდიტორი/აუდიტორული ფირმა გამოთქვამს თავის მოსაზრებას ამ მუხლის მე-6 პუნქტისა და მე-7 პუნქტის „გ“ და „ზ“ ქვეპუნქტების მის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობისა და იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებთან თანხვედნილობის თაობაზე. აუდიტის განხორციელების პროცესში სუბიექტის შესახებ მიღებული ინფორმაციის გათვალისწინებით აუდიტორი/აუდიტორული ფირმა განსაზღვრავს არსებით უზუსტობებს და საჭიროების შემთხვევაში მიუთითებს მათ არსს“.

კომპანია წარმოადგენს კანონით განსაზღვრულ მეორე ზომითი კატეგორიის საწარმოს. აღნიშნული მოთხოვნების შესაბამისად, კომპანიამ ფინანსურ ანგარიშგებასთან თანადროულად წარმოადგინა მმართველობის ანგარიშგება, საქმიანობის მიმოხილვის სახით. საქმიანობის მიმოხილვაში ასახულ ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. საქმიანობის მიმოხილვა მოიცავს ინფორმაციას კომპანიის საქმიანობის, ძირითადი მაჩვენებლების, რისკებისა და სამომავლო გეგმების შესახებ, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე. ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობის შესახებ

კომპანიის 2024 წლის მმართველობის ანგარიშგება (საქმიანობის მიმოხილვა) თანხვედნილია ამავე საანგარიშგებო წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფას-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვვრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოეთქვას კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის – ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოეთქვას მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით განსაზღვრული ნაწილის (საქმიანობის მიმოხილვის) ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

შპს „ახალი ნათება“

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა


გვერდი 5

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილი – საქმიანობის მიმოხილვა შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით. ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუდიტორული იქნებოდა ინფორმირება.

გარიგების პარტნიორი აუდიტისა, რომლის შედეგად გაიცა აღნიშნული დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა:

გიორგი ცერცვაძე



შპს აუდიტორი კონცერნი „ცოდნისა“

საქართველო, თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი 41.

30 სექტემბერი, 2025 წელი



მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს საწარმოს ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობას და კაპიტალის ცვლილებას 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, ასევე სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვასა და განმარტებით შენიშვნებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- განსჯასთან და შეფასებებთან დაკავშირებულ მართებული და გონივრული გადაწყვეტილებების მიღებაზე;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას მოქმედი საწარმოს პრინციპის საფუძველზე, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც გარემოებები ამას შეუძლებელს ხდის.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ეფექტიანი და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი საბუღალტრო ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ასევე ფინანსური ანგარიშგების ფასს-ის მოთხოვნებთან შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობის, შეცდომებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის დადასტურებულია ხელმძღვანელობის მიერ და ხელმოწერილია მისი სახელით 2025 წლის 30 სექტემბერს:

გენერალური დირექტორი ----- თემურ არდოტელი

ფინანსური მენეჯერი ----- თეა გიგიაშვილი



შპს „ახალი ნათება“

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	31.12.2024	31.12.2023	შენიშვნა
მიმდინარე აქტივები:			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	585 360	640 126	5
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	740 250	758 981	6
გადახდილი ავანსები	1 516 047	2 130 966	7
მარაგები	22 129 435	19 301 868	8
წინასწარ გადახდილი გადასახადები	36 777	399 001	9
სხვა მიმდინარე აქტივები	40 499	62 156	
მიმდინარე აქტივები სულ:	25 048 367	23 293 099	
გრძელვადიანი აქტივები :			
ძირითადი საშუალებები	12 704 507	12 235 795	10
არამატერიალური აქტივები	32 552	53 461	
სხვა გრძელვადიანი აქტივები	2 642 599	3 160 195	11
გრძელვადიანი აქტივები სულ:	15 379 658	15 449 450	
აქტივები სულ:	40 428 025	38 742 549	
მიმდინარე ვალდებულებები:			
მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	1 185 802	1 817 432	12
მიღებული ავანსები	784 391	702 067	13
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი	2 596 314	2 200 427	14
გადასახდელი გადასახადები	-	687 712	9
სხვა მოვლევადიანი ვალდებულებები	186 808	151 710	
მიმდინარე ვალდებულებები სულ:	4 753 315	5 559 348	
გრძელვადიანი ვალდებულებები:			
მიღებული გრძელვადიანი სესხები	4 419 669	2 949 519	14
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	2 596 876	3 211 271	15
გრძელვადიანი ვალდებულებები სულ:	7 016 545	6 160 790	
ვალდებულებები სულ:	11 769 860	11 720 138	
კაპიტალი			
კაპიტალი	2 000	2000	
გაუნაწილებელი მოგება	28 656 165	27 020 411	
კაპიტალი სულ:	28 658 165	27 022 411	
ვალდებულებები და კაპიტალი სულ:	40 428 025	38 742 549	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2025 წლის 30 სექტემბერს:

გენერალური დირექტორი -----

თემურ არდოტელი

ფინანსური მენეჯერი -----

თეა გიგიაშვილი

თანდართული შენიშვნები მე-13 დან 45-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.



შპს „ახალი ნათება“

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	2024	2023	შენიშვნა
ამონაგები	36 580 600	38 255 392	16
თვითღირებულება	(19 812 630)	(21 687 212)	17
საერთო მოგება	16 767 970	16 568 180	
მიწოდების ხარჯები	(8 411 513)	(7 504 010)	18
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(2 235 488)	(2 502 870)	19
სხვა საოპერაციო ხარჯები	(727 302)	(642 214)	20
მოგება საოპერაციო საქმიანობიდან	5 393 667	5 919 086	
ფინანსური ხარჯები	(760 130)	(622 842)	21
მოგება / (ზარალი) საკუროსო სხვაობებიდან	(359 634)	100 924	22
სხვა არასაოპერაციო მოგება / (ზარალი)	271 624	50 893	23
ზარალი არასაოპერაციო საქმიანობიდან	(848 140)	(471 025)	
მოგება დაბეგვრამდე:	4 545 527	5 448 061	
მოგების გადასახადის ხარჯი	(104 772)	(101 971)	
მოგება დაბეგვრის შემდეგ :	4 440 754	5 346 091	
სულ პერიოდის სხვა სრული შემოსავალი, გადასახადის გამოკლებით:			
სულ საანგარიშო პერიოდის სრული მოგება:	4 440 754	5 346 091	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2025 წლის 30 სექტემბერს:

გენერალური დირექტორი ----- თემურ არდოტელი

ფინანსური მენეჯერი ----- თეა გიგიაშვილი

თანდართული შენიშვნები მე-13 დან 45-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.



შპს „ახალი ნათება“

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	განთავსებული კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება / (დაუფარავი ზარალი)	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 31.12.2022-თვის	2 000	24 404 321	24 406 321
საანგარიშგებო პერიოდის მოგება	-	5 346 091	5 346 091
განაწილებული დივიდენდები	-	(2 730 000)	(2 730 000)
ნაშთი 31.12.2023-თვის	2 000	27 020 411	27 022 411
საანგარიშგებო პერიოდის მოგება	-	4 440 754	4 440 754
განაწილებული დივიდენდები	-	(2 805 000)	(2 805 000)
ნაშთი 31.12.2024-თვის	2 000	28 656 166	28 658 166

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2025 წლის 30 სექტემბერს:

გენერალური დირექტორი -----

თემურ არდოტელი

ფინანსური მენეჯერი -----

თეა გიგიაშვილი

თანდართული შენიშვნები მე-13 დან 45-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.



შპს „ახალი ნათება“

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	2024	2023	შენიშვნა
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:			
მყიდველებისა და დამკვეთებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	42 681 971	44 673 778	
სხვა შემოსულობანი საოპერაციო საქმიანობიდან	69	1 459	
მიმწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები	(26 377 009)	(26 781 597)	
გაცემული შრომის ანაზღაურება	(5 217 800)	(4 824 999)	
სამიწვინებო ხარჯების ანაზღაურება	(141 557)	(160 799)	
ანგარიშვალდებულ პირებზე გაცემული ავანსები	-	13 948	
განაცემები საქველმოქმედო მიზნით	(815)	(1 214)	
გადახდილი გადასახადები (მოგების გადასახადის გარდა)	(7 812 713)	(7 715 688)	
გადახდილი მოგების გადასახადი	(104 772)	(101 971)	
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები	(57 490)	(52 244)	
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი/(კლება) საოპერაციო საქმიანობიდან	2 969 883	5 050 673	
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:			
ძირითადი საშუალებებისა და სხვა გრძელვადიანი აქტივების შეძენა	(679 371)	(753 266)	
ძირითადი საშუალებების გასვლიდან შემოსულობანი	47 060	69 786	
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი/(კლება) საინვესტიციო საქმიანობიდან	(632 311)	(683 480)	
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან:			
სესხების აღება	18 719 191	23 603 398	24
სესხების დაფარვა	(17 109 624)	(23 912 187)	24
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა	(915 151)	(939 445)	
გადახდილი პროცენტები	(355 431)	(330 325)	25
გადახდილი დივიდენდები	(2 662 890)	(2 597 000)	26
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი/(კლება) საფინანსო საქმიანობიდან	(2 323 905)	(4 175 560)	
ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული ზრდა / (კლება) (ნეტო)	(68 434)	(49 163)	
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი/(კლება):	(54 766)	142 471	
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის დასაწყისისათვის:	640 126	497 656	
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის ბოლოსათვის:	585 360	640 126	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2025 წლის 30 სექტემბერს:

გენერალური დირექტორი ----- თემურ არდოტელი

ფინანსური მენეჯერი ----- თეა გიგიაშვილი

თანდართული შენიშვნები მე-13 დან 45-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.



ქ. თბილისი

02/040

30 სექტემბერი 2025

შპს „ახალი ნათების“ მენეჯმენტისაგან

შპს აუდიტურ კონცერნ „ცოდნისა“-ს

თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 41, IV სართული

0177, თბილისი, საქართველო

წინამდებარე წერილი მოწოდებულია აუდიტთან დაკავშირებით, რომელიც თქვენ ჩაუტარეთ შპს „ახალ ნათებს“ 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებას, იმისათვის, რომ გამოხატოთ თქვენი აზრი იმასთან დაკავშირებით, არის თუ არა ეს ფინანსური ანგარიშგება სამართლიანად და შესაბამისად წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) თანახმად.

ჩვენ ვადასტურებთ, რომ მოვიძიეთ და გამოვიკვლიეთ ყველა სათანადო ინფორმაცია შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

წარმოდგენილი ინფორმაცია

ჩვენ უზრუნველყავით:

- წვდომა ყველა იმ ინფორმაციაზე, რომელიც საჭიროა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისათვის, მათ შორის, სააღრიცხვო კომპიუტერულ ბაზაზე;
- წვდომა იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე, რომელთაგანაც გადაწყვეტით აუდიტორული მტკიცებულების მიღება;
- ყველა იმ დამატებითი ინფორმაციის მოწოდება, რომელიც საჭირო იყო აუდიტის სრულყოფილად განხორციელებისათვის;

ჩვენ გიდასტურებთ, რომ არ არსებობს არსებული ან ყოფილი თანამშრომლების, ანალიტიკოსების, მარეგულირებლების თუ სხვათა განცხადებები თაღლითობის ან სავარაუდო თაღლითობის შესახებ, რომელსაც გავლენა აქვს ჩვენი კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე;

ჩვენ გაგაცანით ჩვენი შეფასება თაღლითობისა და არსებითი შეცდომების არსებობის რისკის შესახებ;

ზემოხსენებულთან დაკავშირებით ვადასტურებთ, რომ ჩვენი პასუხისმგებლობაა დაინერგოს ისეთი შიდა კონტროლის სისტემა და პროცედურები, რაც უზრუნველყოფს თაღლითობის და არსებითი შეცდომის პრევენციას და გამოვლენას.

ჩვენ ასევე გიდასტურებთ, რომ არ გამოვლენილა შეუსაბამო კანონთან და ნორმებთან, რომელიც ყურადსაღები იქნებოდა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას;

შპს „ახალი ნათების“ 2024 წლის მმართველობის ანგარიშგება

(საქმიანობის მიმოხილვა)

კომპანიის დაარსების ისტორია და ძირითადი ინფორმაცია დამფუძნებლების, დირექტორებისა და სამართლებრივი სტატუსის შესახებ

კომპანია „ახალი ნათება“ (საიდენტიფიკაციო კოდი - 202066156) დაარსდა 1999 წელს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სამართლებრივი სტატუსით ზურაბ გაბინაშვილისა და ირმა გაბინაშვილის მიერ თანაბარი წილობრივი მონაწილეობით, საწესდებო კაპიტალით 2000 ლარი.

2012 წელს სარეგისტრაციო მონაცემებში განხორციელდა ცვლილებები და კომპანიის ერთპიროვნული პარტნიორი გახდა ზურაბ გაბინაშვილი.

კომპანიის მმართველობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირები არიან კომპანიის პრეზიდენტი ზურაბ გაბინაშვილი და გენერალური დირექტორი თემურ არდოტელი. ორივე მათგანი საზოგადოებას წარმომადგენენ როგორც ცალ-ცალკე ერთპიროვნულად, ასევე ერთად.

კომპანიის ორგანიზაციული სტრუქტურა

კომპანიის ორგანიზაციული სტრუქტურა წარმოდგენილია შემდეგი რგოლებისა და მათი ხელმძღვანელების/კოორდინატორების სახით: კომერციული განყოფილება, ფინანსური განყოფილება, მარკეტინგის განყოფილება, ტექნიკური განყოფილება, იურიდიული განყოფილება, სამეურნეო განყოფილება, IT განყოფილება, შიდა მონიტორინგისა და უსაფრთხოების განყოფილება, კადრების მართვისა და კოორდინაციის განყოფილება, სასაქონლო მარაგების შესყიდვების, მართვისა და ლოჯისტიკის განყოფილება.

ქვედა რგოლის მენეჯმენტს შეადგენენ ფილიალების მენეჯერები, რომლებიც ახორციელებენ ფილიალების ოპერატიულ მართვას შესაბამისი ლოკაციების მიხედვით.

კომპანიის მისია და საქმიანობის მიზანი

შპს „ახალი ნათების“ მისია არის მაღალი ხარისხის სერვისთან ერთად თანამედროვედ მოწყობილ კონცეპტუალური საგამოფენო სივრცეების მეშვეობით მომხმარებელს შესთავაზოს უმაღლესი ხარისხისა და მოწინავე ტექნოლოგიებით წარმოებული პროდუქციის ფართო სპექტრი, რომელიც პასუხობს თანამედროვე ტენდენციებს განათების, ავეჯისა და აქსესუარების ინდუსტრიაში. ამ მხრივ კომპანია სისტემატურად დგამს აქტიურ ნაბიჯებს. სერვისის გაუმჯობესების მიზნით წელიწადში რამოდენიმეჯერ ხორციელდება საკადრო პერსონალის გადამზადება როგორც საქართველოში, ასევე უცხოეთში. სისტემატურად ხდება აქტუალურ საერთაშორისო გამოფენებზე შესაბამისი პროფილის სპეციალისტების მივლინება, რათა მუდმივად ხორციელდებოდეს თანამედროვე კოლექციების პრეზენტაცია ჩვენს შოურუმებში.

კომპანიას აქვს უახლესი IT ტექნოლოგიების გათვალისწინებით დანერგილი ონლაინ რესურსები, როგორებიცაა: IOS და Android-ის სისტემებისთვის შექმნილი მულტიფუნქციური მობილური აპლიკაცია; თანამედროვე ვებგვერდი ონლაინ კომერციის ფუნქციით რომელშიც ინტეგრირებულია თანამედროვე ecommerce-ისათვის დამახასიათებელი საშუალებები; თანამედროვე სააღრიცხვო პროგრამები რომელთაც ვიყენებთ ბუღალტრული, მენეჯერული და საკადრო აღრიცხვის

მიმართულებით; მყარი ლოჯისტიკური პლატფორმა, რომელიც შედგება საკუთარი მძლავრი სასაწყობო ინფრასტრუქტურისა და ავტოპარკისაგან, რომელიც უზრუნველყოფს როგორც საქონლის მიმოცვლას ფილიალებს შორის ასევე შეძენილი პროდუქციის მომხმარებელთან მიწოდების სერვისს. რეგულარულად ხორციელდება მონიტორინგი და განახლება როგორც სავაჭრო საგამოფენო სივრცეების, ასევე სასაწყობო ლოჯისტიკური საშუალებებისა და ავტოპარკის მიმართულებით.

ძირითადი საკითხების მიმოხილვა

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს გამანათებელი საშუალებების, ავეჯისა და აქსესუარების იმპორტი და რეალიზაცია. სამიზნე სამომხმარებლო სეგმენტს წარმოადგენს საცალო ქსელი და კერძო კორპორატიული სექტორი. განათების სფეროში 26 წლიანი მოღვაწეობის გამოცდილებიდან გამომდინარე, ამ ბაზარზე კომპანია ძლიერად არის წარმოდგენილი და ბრენდის ცნობადობა და პოზიციონირებაც მასშტაბურია. ავეჯისა და აქსესუარების სეგმენტში კომპანიამ დივერსიფიცირება გააკეთა 2013 წლის მიწურულს, ჩამოაყალიბა ბრენდი „ფორუმი ახალი ნათებისაგან“, რომლის მასშტაბები, ცნობადობა და პოზიციებიც ბაზარზე წლიდან წლამდე იზრდება და ვითარდება.

კომპანია ბაზარზე ფართო სავაჭრო ქსელით არის წარმოდგენილი, რომელიც მოიცავს ჩვიდმეტ სავაჭრო ობიექტს თბილისსა და რეგიონებში. მათგან ცამეტი წარმოდგენილია განათების პროფილით, ხოლო ოთხ სავაჭრო პავილიონში ინტეგრირებულია განათება, ავეჯი და აქსესუარები. ფილიალების ფართო ქსელი კომპანიას შესაძლებლობას აძლევს გააძლიეროს ბაზარზე პოზიციონირების გეოგრაფიული არეალი და გააუმჯობესოს მომხმარებელთან წვდომა.

ასევე კონკურენტულ უპირატესობას ქმნის მძლავრი საკუთარი სასაწყობო ინფრასტრუქტურა და სასაქონლო მარაგები, რაც უზრუნველყოფს მომხმარებელთა მზარდი მოთხოვნების ოპერატიულად დაკმაყოფილებას. მაღალი ხარისხის პროდუქცია, ოპტიმალურად წარმოდგენილი საფასო პოლიტიკა, განვითარებული მომსახურების სერვისი, საგარანტიო მომსახურება, მრავალფეროვანი მარკეტინგული აქტივობები მომხმარებელთან მაქსიმალური დაახლოების შესაძლებლობას ქმნის.

პროდუქციის ვრცელი ასორტიმენტი და მრავალფეროვანი არჩევანი, როგორც დიზაინის ისე საფასო კატეგორიის კუთხით, სხვადასხვა გემოვნებისა და მსყიდველობითუნარიანი მომხმარებლის მოთხოვნის დაკმაყოფილების მაქსიმალურ შესაძლებლობას იძლევა.

კომპანია თანამშრომლობს ევროპისა და აზიის ათეულობით მომწოდებელთან, მათ შორის წარმოვადგენთ ისეთ წამყვან მსოფლიო ბრენდებს, როგორებიცაა PHILIPS, ARTEMIDE, DELTA LIGHT, EGLO, OSRAM, OPPL, FUMAGALLI, FARO BARCELONA, VONDOM, FURNINOVA, NARDI, LIFE OUTDOOR, ZILSTRA და სხვა.

კომპანიის სავაჭრო ნიშნები „ახალი ნათება“, „New Light“, „ფორუმი ახალი ნათებისაგან“, „Forum by New Light“ რეგისტრირებულია „საქპატენტში“.

შპს „ახალი ნათება“ მომხმარებელზე ორიენტირებული კომპანიაა, რომლისთვისაც რეპუტაცია სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, ისევე როგორც ძირითადში ყველა რითეილ სექტორზე ორიენტირებული კომპანიისთვის, რომელსაც აქვს ხანგრძლივი მოღვაწეობის ისტორია და მზარდი განვითარების დინამიკა. შედეგად კომპანია უკომპრომისოდ აქცენტს აკეთებს ხარისხიანი პროდუქციის წარდგენასა და მომხმარებელთან კეთილსინდისიერი ურთიერთობის დამყარებაზე.

ბრენდის განვითარების მხრივ სისტემატური ზრუნვის საგანია თანამედროვე სერვისების დანერგვა და განვითარება, თამამი გადაწყვეტილების მიღება და ინოვაციური ნაბიჯების გადადგმა.

მართვის მაქსიმალურად მოქნილი და ეფექტიანი სისტემის უზრუნველყოფისთვის კომპანიის სხვადასხვა რგოლებისთვის გაწერილი და ჩამოყალიბებულია საოპერაციო სტანდარტები და პროცედურები. სწრაფი ოპერირებისათვის აქტიურად გამოიყენება IT ტექნოლოგიები, რომლებიც ხელს უწყობენ დავალებების სწრაფ შესრულებას, ინფორმაციის ეფექტიან მიმოცვლას სხვადასხვა რგოლებს შორის (შესყიდვები-საწყობი-გაყიდვების ქსელი-ადმინისტრაცია).

შესყიდვების მართვისა და ლოჯისტიკის განყოფილებაში ინტენსიურად მუშავდება სასაქონლო მარაგების ანალიტიკური მონაცემები რაც უზრუნველყოფს ლიკვიდური მარაგების დადგენას, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს შესყიდვების გუნდს მათი სასიცოცხლო ციკლის გათვალისწინებით განახორციელოს პროდუქციის ბაზარზე შეუფერხებელი მიწოდება საჭირო რაოდენობებით.

დასაქმებულთა წახალისებისა და მოტივაციის ამაღლების მიზნით სისტემატურ რეჟიმში ხორციელდება მატერიალური წახალისება (ბონუსები, პრემიები, ფასიანი საჩუქრები), პერიოდულად - სხვადასხვა სასწავლო პროგრამების სწავლის სრული ან ნაწილობრივი დაფინანსება, უტარდებათ ტრენინგები კვალიფიკაციის ამაღლების კუთხით როგორც ადგილზე, ასევე უცხოეთში, დამსახურების მიხედვით ხორციელდება შესაბამისი კადრების დაწინაურება.

ამჟამად დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენს 200-მდე თანამშრომელს, რომელთათვის ღირსეული სამუშაო გარემოს შექმნა და განვითარება კომპანიის მუდმივი ზრუნვის საგანია.

შპს „ახალი ნათება“ აქცენტს აკეთებს ბაზარზე ეკოლოგიური და ენერგოეფექტური პროდუქციის აქტიურ დანერგვაზე, ასევე მის მიერ საკუთარი მოხმარებისთვის განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებშიც მაქსიმალურად გამოყენებულია ამ ტიპის მოწინავე ტექნოლოგიები.

კომპანიის მთლიანი ინფრასტრუქტურა აღჭურვილია დაცვისა და სახანძრო უსაფრთხოების თანამედროვე სისტემებით, პერმანენტულად ახლდება შესაბამისი ინვენტარი და და საჭირო მატერიალური ბაზა. 24-საათიანი თანამედროვე ციფრული ვიდეო სამეთვალყურეო სისტემა უზრუნველყოფს უსაფრთხოების სტანდარტების მაქსიმალურ დაცვას.

მოწვეულ სპეციალისტთან ერთად, საერთაშორისო გამოცდილებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით, აგრეთვე ადგილობრივი კანონმდებლობის მოთხოვნების მიხედვით შემუშავებული და დანერგილია შრომის უსაფრთხოების პროცედურები და სტანდარტები, რათა კომპანიაში დასაქმებული პერსონალი უზრუნველყოფილი იყოს უსაფრთხო შრომის გარემოთი. თანამედროვე მულტიფუნქციური კადრების აღრიცხვის ელექტრონული პროგრამა თანხვედრაშია შრომის კოდექსით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან და ამასთანავე იძლევა საშალებას როგორც დასაქმებულეთათვის ისე დამსაქმებელისთვის გამარტივებულად აწარმოონ შესაბამისი პროცესები.

მძლავრი სასაწყობე-ლოჯისტიკური ინფრასტრუქტურა კომპანიის განვითარების მნიშვნელოვანი ქვაკუთხედი. ამ მხრივ ბოლო წლებში განხორციელებული მნიშვნელოვანი ინვესტიციების შედეგად კომპანიას აქვს 5 000 კვადრატულ მეტრზე მეტი, სათანადო ინვენტარით აღჭურვილი საკუთარი სასაწყობე ინფრასტრუქტურა. მძლავრი და თანამედროვე ავტოპარკი კი უზრუნველყოფს პროდუქციის ოპერატიულ მიმოქცევას ფილიალებს შორის და მომხმარებლებთან ადგილზე მიწოდების ეფექტურ სერვისს.

ფილიალების შესახებ ინფორმაცია

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას გააჩნდა 16 (თექვსმეტი) მაღაზია-სალონი. ამათგან 10 (ათი) მდებარეობს ქ. თბილისში, ხოლო 6 (ექვსი) - საქართველოს სხვა რეგიონებში.

ფილიალები, სადაც წარმოდგენილია ავეჯი, განათება და აქსესუარები:

„ფორუმი ახალი ნათებისაგან“ - მისამართი: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი N199, დაარსების თარიღი - 2013 წელი;

„„ფორუმი ახალი ნათებისაგან“ - მისამართი: ქ. თბილისი, თვალჭრელიძის #2, ისტპოინტის სავაჭრო ცენტრი დაარსებულია 2019 წელს;

„ფორუმი ახალი ნათებისაგან“ - ბათუმის ფილიალი, მისამართი: ქ. ბათუმი, ხიმშიაშვილის #1, დაარსებულია - 2015 წელს;

„ფორუმი ახალი ნათებისაგან“ - ბათუმის ფილიალი, მისამართი: ქ. ბათუმი, ქ. შარტავას #7, დაარსების თარიღი 2020 წელი.

ფილიალები, სადაც წარმოდგენილია გასანათებელი საშუალებები:

ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი #199, ახალი ნათების ცენტრალური სავაჭრო პავილიონი დაარსებულია 2006 წელს;

ქ. თბილისი, თვალჭრელიძის #2, ისტპოინტის სავაჭრო ცენტრი დაარსებულია 2019 წელს;

ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 25ა, დაარსებულია 2001 წელს (დაემატა ახალი შოურუმი 2024 წელს);

ქ. თბილისი, წერეთლის გამზ. #116, დაარსებულია 2009 წელს;

ქ. თბილისი, დიდუბის (ყიფიანის) ქ. #6, დაარსებულია 1999 წელს;

ქ. თბილისი, შეშელიძის ქ. #45, დაარსებულია 2012 წელს;

ქ. თბილისი, წულუკიძის #11, დაარსებულია 2009 წელს;

ქ. თბილისი, ელიავას ბაზრობის ტერიტორია, სავაჭრო ცენტრი GA, დაარსებულია 1999 წელს, (ლოკაცია შეიცვალა 2011 წელს);

ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის #21, დაარსებულია 2006 წელს (ლოკაცია შეიცვალა 2008 წელს);

ქ. ფოთი, ფარნავაზ მეფის #1, დაარსებულია 2011 წელს;

ქ. ქუთაისი, აღმაშენებლის #7, დაარსებულია 2007 წელს;

ქ. გორი, სტალინის #8, დაარსებულია 2007 წელს (ლოკაცია შეიცვალა 2014 წელს).

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

კომპანიის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები და მათი დინამიკა შემდეგნაირად გამოიყურება:

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, კომპანია წარმოადგენს კანონით განსაზღვრულ მეორე კატეგორიის საწარმოს.

2024 წლის ბოლოსათვის, კომპანიის კაპიტალი შეადგენს 28.7 მილიონ ლარს, მოკლევადიანი აქტივების ღირებულება - 25.0 მილიონ ლარს, ხოლო გრძელვადიანი აქტივების ღირებულებამ ამავე პერიოდისთვის შეადგინა 15.4 მილიონი ლარი.

2023 წლის ბოლოსათვის, კომპანიის კაპიტალი შეადგენდა 27 მილიონ ლარს, მოკლევადიანი აქტივების ღირებულება - 23.3 მილიონ ლარს, ხოლო გრძელვადიანი აქტივების ღირებულებამ ამავე პერიოდისთვის შეადგინა 15.4 მილიონი ლარი.

კომპანიის ამონაგებმა 2024 წელს - 36.6 მილიონი ლარი შეადგინა, ხოლო 2023 წელს - 38.2 მილიონი ლარი.

2024 წლის სახელფასო ფონდმა 5.2 მილიონი ლარი შეადგინა, ხოლო 2023 წელს 6.0 მილიონი ლარი.

ბიუჯეტში გადასახადების სახით კომპანიას 2024 წელს გადახდილი აქვს 7.9 მილიონი ლარი, ხოლო 2023 წელს 7.8 მილიონი ლარი.

რისკების კუთხით ყურადღებას გავამახვილებს ისეთ გლობალური გამოწვევებსა და სირთულეებზე, როგორიცაა უკრაინაში მიმდინარე საომარი მოქმედებები, შრომის ბაზარზე შემქნილი მწვავე საკადრო დეფიციტი, ინფლაციური პროცესებით გამოწვეული გაზრდილი დანახარჯები. ყოველივე ზემოთ აღწერილი ფაქტორების მიუხედავად 2024 წელს ჩვენი კომპანიისათვის წარმატებულ წლად შევაფასებთ, რადგან ვინარჩუნებთ სტაბილურობას და ვახდენთ ადაპტაციას არსებულ გამოწვევებთან მიმართებაში და ვახორციელებთ ახალ პროექტებსაც, რომლებიდანაც გამოვყოფდი, ჩვენი ფილიალების რეორგანიზაციას ისთფონთის სავაჭრო ცენტრში. კერძოდ, წლის ბოლომდე განხორციელდება იქ ამჟამად მდებარე ჩვენი განათების ფილიალის ლოკაციის შეცვლა, გადავა სავაჭრო ცენტრის ახლად გახსნილ ფლიგელში, უფრო პრემიუმ ადგილას, 500 კვადრატული მეტრის ფართობში განახლებული ინტერიერითა და პროდუქციის უკეთესი პრეზენტაციითა და ბოლო კოლექციით. მიმდინარეობს აქტიური საპროექტო სარემონტო სამუშაოები და სავარაუდოდ ნოემბრის ბოლოს, დეკემბრის დასაწყისში გავხსნით განახლებულ ფილიალს.

ჩვენთვის მთავარი პოზიტიური მოლოდინის ფაქტორი იქნება თუ შენარჩუნდება ქვეყანაში არსებული ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი და სავალუტო გაცვლითი კურსის არსებული დონე.

რაც შეეხება მიმდინარე პერიოდისთვის არსებულ არასახარბიელო გარემოებას, ეს არის გლობალური პოლიტიკური პროცესების ტურბულენტობა, რომლის დასტაბილურებაც უმთავრეს განმაპირობებელ ფაქტორს წარმოადგენს ზოგად საკაცობრიო განვითარების მხრივ როგორც ჰუმანიტარული ისე სოციალური და ეკონომიკური კუთხით.

დამატებით დავძენ, რომ კომპანიის მზარდი დინამიკური განვითარების ტენდენცია, მყარი ფინანსური მდგომარეობა და რეპუტაცია ბაზარზე, იძლევა სტაბილური განვითარების საფუძველს სამომავლოდ.

საქმიანობის მიმოხილვა მომზადებულია შპს „ახალი ნათება“ გენერალური დირექტორის თემური არდოტელის მიერ 2025 წლის 30 სექტემბერს:

თემური არდოტელი



[Handwritten signature in blue ink]